# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 15 ივლისი, 2009 წელი.

№ 142 (6243)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## ვივა ხელისუფლება! ვაშა ოპოზიცია!



როცა ცუდი სჯობნის მოუშვს... (5)



## რა თქვა მედვედევმა ცხინვალში ჩასვლით?

ამერიკა ისევე მოგვეპყრობა როგორც ტაივანს? (3)

## ვინ გაამყარებს მიშას მორყეულ სკამს? (2)

მორიგი საკადრო ცვლილებები მთავრობაში?

## თუ საკნების აღება სურთ, დაგვარბიონ (3)





ნატა მურვანიძე:

ხელისუფლებაში თუ ჭკუა აქვთ, თავადაც უნდა გაერთიანდნენ ახალ ორგანიზაციაში (4)

## „უცნობი ომი“, რომელიც „მოგუდულად“ გრძელდება... (7)



რამაზ საყვარელიძე:

მოძრაობას — „დაიცავი საქართველო“ აქვს შანსი, პოლიტიკური ფუნქციის მქონე სერიოზულ ძალად იქცეს (4)

## (5) რატომ გავაყაჩაღეთ აღმასრულებელი?!.

ღმერთმა არ დაგაჭერინოთ საქმე აღმასრულებელ გელა ქომეთიანთან



ზურაბ აბაშიძე:

## დასავლეთი საკმაოდ (6) გვეხმარება და ამის დაუნახაობა უმადურობა იქნებოდა

ასეთ ვითარებაში ჩვენი მხრიდან რუსეთთანთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასი იქნება. რუსეთმა ჯერ უნდა შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები (სარკოზი-მედვედევის შეთანხმება მაქვს მხედველობაში) და შემდეგ, შეიძლება ფიქრი შემხვედრ ნაბიჯებზე.

## ინფორმაცია

### პატრიარქი სამედიცინო შემოწმებას გერმანიაში გაივლის

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს -პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II გუშინ, გამთენიისას გერმანიაში გაემგზავრა.**

პატრიარქი მიუნხენის კლინიკაში, სადაც ერთხელ უკვე იმკურნალა, 2-კვირიან სარეაბილიტაციო კურსს გაივლის.

უწმინდესი გერმანიაში ქართველ ექიმთა დაჟინებული თხოვნით წაბრძანდა. ექიმები აცხადებენ, რომ პატრიარქს პროფილაქტიკური გამოკვლევები და სარეაბილიტაციო კურსი სჭირდება.

უწმინდესაა და უნეტარესს მიუნხენში ქართველ ექიმთა ჯგუფი და საპატრიარქოს წარმომადგენლები გაყვნენ. პატრიარქი საქართველოში 30 ივლისს დაბრუნდება.

### ახალი ენერგეტიკული დერეფანი




**აშშ „ნაბუკოს“ ხელშეკრულების გაფორმებას ახალი ენერგეტიკული დერეფნის შექმნისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯს უწოდებს. „რია ნოვოსტის“ ინფორმაციით, ამის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა იან კელიმ განაცხადა.**

— ეს ხელშეკრულება არის მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი ჩვენი მთავარი მიზნისკენ — შევქმნათ ახალი ენერგეტიკული დერეფანი, რომელითაც კასპიური გაზი ევროპაში მოხვდება, — აცხადებს კელი.

მთავრობათაშორისი შეთანხმება „ნაბუკოს“ პროექტთან დაკავშირებით ანკარაში 13 ივლისს გაფორმდა. დოკუმენტს თურქეთმა, ავსტრიამ, უნგრეთმა, ბულგარეთმა და რუმინეთმა მოაწერეს ხელი.

### გუგული მაღრაძეს მინისტრის მოადგილეობა სურს



**ქალთა პარტიის ლიდერი გუგული მაღრაძე განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილედ დანიშვნას ითხოვს. ამ პოსტზე მან ხელისუფლებას საკუთარი კანდიდატურა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე შესთავაზა.**

— ეს გადაწყვეტილება სხვადასხვა უწყების ხელმძღვანელთა მოადგილეების პოსტებზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენის თაობაზე პოლიტიკური ოპოზიციის მიმართ პრეზიდენტის ინიციატივის შემდეგ მივიღე. მე სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილება მაქვს. მიმუშავია როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ახლა პრეზიდენტის პასუხს ველოდები, — განაცხადა მაღრაძემ.

მისივე თქმით, თუკი ნიკა გვარამიას მოადგილის პოსტზე მისი კანდიდატურა არ დამტკიცდება, დადასტურდება, რომ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივა მხოლოდ მსოფლიო საზოგადოებაზე გათვლილ პიარს წარმოადგენდა.

შეგახსენებთ, რომ გუგული მაღრაძე კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, თსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი და სრული პროფესორი, ასევე ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია.

**ინტერპრესნიუსი, ჯი-ეიჩ-ენი**

## ისევ კარუსელი

# ვინ გაამყარებს მიშას მორყეულ სკამს?



## მორიგი საკადრო ცვლილებები მთავრობაში?

**შესაძლოა სულ მალე ახალ პრემიერ-მინისტრად ზურაბ ადეიშვილი დაინიშნოს.**

**რაც არ უნდა იქადნოს ოპოზიციამ, ეს ზაფხული დაგვაცადეთ და შემოდგომაზე უარესს ვიზამთო, ცხადია, რომ მიხეილ სააკაშვილი პოსტის დათმობას არ აპირებს. პირიქით, ის ახლა როგორც არასდროს, ცდილობს თავისი პოზიციების სერიოზულად გამყარებას. როგორც ვიცით, ვანო მერაბიშვილი ის „ხერხემალია“, რომელსაც მიშა არაფრის ფასად არ გადატეხავს, ანუ შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ დიდხანს ეყოლება ვანო მინისტრად. სამაგიეროდ, პრემიერ-მინისტრის პოსტს სერიოზულად გაამყარებს და სკანდალურ ცვლილებებსაც გეგმავს. სანამ ოპოზიცია ჯერ კიდევ ტაიმ-აუტს აიღებდეს, ის ნიკა გილაურს ძველ პოსტზე დააბრუნებს, ხოლო კიდევ უფრო დიდ „ხერხემალს“ — ზურაბ ადეიშვილს მთავრობას „შეუყუდებს“.**

ხალხს გასული წლის სკანდალი ჯერ არ დავიწყებია, როცა გეგა მგალობლიშვილის გაპრემიერება თვენახევრში კრახით დასრულდა. მაშინ პრესა სწორედ მგალობლიშვილისა და ადეიშვილის დაპირისპირებაზე ჰყვებოდა, რის გამოც თურმე სააკაშვილს ლამის სიკვდილის პირამდე უცემია პრემიერი, რომელიც თირკმელების შეტევით გერმანიის ჰოსპიტალში მოხვდა. ამ სამარცხვინო ვერსიის განეიტრალება ხელისუფლებამ მაშინ არაერთხელ სცადა და იმითაც დაამტკიცა, რომ გეგა მგალობლიშვილი მკურნალობის სრული კურსის დამთავრებისთანავე ნატოში გაგზავნა და სრულუფლებიან ელჩად დანიშნა. კითხვის ნიშნები, სინამდვილეში რა მოხდა დეკემბრის ერთ სუსხიან ღამეს, მაინც არ გამქრალა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: სააკაშვილსა და მგალობლიშვილს შორის ჯერჯერობით ნამდვილი სიამტკბილობა სუფევს.

არც გილაური უქმნის პრეზიდენტს პრობლემებს. სამაგიეროდ, გილაურის პოსტზე ვერ გაამართლა ბაინდურაშვილმა, რომელმაც ბოლო ორი თვის ბიუჯეტი ვერ შეასრულა. ამის გამო გაბრაზებული სააკაშვილი გილაურს კვლავ ფინანსთა სამინისტროში დააბრუნებს, ხოლო კახა ბაინდურაშვილის ბედი ჯერ ისევ გაურკვეველია.

რაც შეეხება ზურაბ ადეიშვილზე გამოთქმულ ვერსიას, თუ გამართლდა და მთავრობის ხელმძღვანელად მართლაც მოგვევლინა, ეს იქნება ბოლო წვეთი საპროტესტოდ გამოსული ხალხის ისედაც ავსებულ ფიალაში. აქციაზე ყველაზე მეტი პროტესტი სწორედ მისი მისამართით ისმის და ამბობენ, რომ დღეს ქვეყანას სააკაშვილი კი არა, ის მართავს. ადეიშვილი ის ფიგურაა, რომელსაც მერაბიშვილთან ერთად მუდმივად არცთუ ისე სასურველ კონტექსტში იხსენიებენ ხოლმე, თუმცა შინაგან საქმეთა მინისტრისგან განსხვავებით, ადეიშვილის ბნელი საქმეები სააშკარაოზე ჯერ არავის გამოუტანია. მის წინააღმდეგ კონკრეტული კომპრომატის დადება უჭირთ. მათ შორის, გოგა ხაინდრავასაც კი, რომელიც იმაზე მეტს ვერაფერს ამბობს, რომ „დღევანდელი იუსტიციის მინისტრი შავბნელი წარსულით მოცული ადამიანია. ის არის ობობა, რომელიც სულ ბნელშია და დღის სინათლეზე არასდროს გამოსულა“.

საპარლამენტო უმრავლესობა ცვლილებების აუცილებლობაზე საუბარს არ ერიდება. ბუნებრივია, მოვლენებს არ უსწრებენ და დაკონკრეტებისგან თავს იკავებენ, თუმცა ფაქტია, რომ ადეიშვილის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. სამთავრობო კარუსელი არ აშფოთებს საპარლამენტო ოპოზიციას. ისინი მიიჩნევენ, რომ შესაძლოა საკადრო ცვლილებები ბოლო დროს მმართველ გუნდში გაჩენილმა დაპირისპირებამ გამოიწვიოს. ესეც მხოლოდ ჰაერში ნასროლი სიტყვებია, რადგან რეალური, დამადასტურებელი ფაქტები გარეგნულად არ ჩანს.

კულუარებში საუბარია იმ ადამიანებზეც, რომელთაც ადეიშვილი გაამინისტრებს, მათ შორის სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორ ზაზა გოროზიას შეიძლება ჯანდაცვის სამინისტრო ჩააბაროს.

ვრცელდება არანაკლებ საინტერესო ინფორმაცია ალასანია-ბაქრაძის კონფიდენციალური შეხვედრის შესახებაც, სადაც თურმე პარლამენტის თავმჯდომარემ მინისტრად თუ არა მოადგილეებად დანიშვნა შესთავაზა ალასანიას გუნდის რამდენიმე წევრს. სხვა ამბავია, ვინ ეკითხება ბაქრაძეს სამთავრობო სკამების განაწილებას, მაგრამ ენას ძვალი არა აქვს. მით უფრო, რომ „ალიანსი საქართველოსთვის“ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებებს აქტიურად ითხოვს და არც თანმიმდევრული არჩევნების საწინააღმდეგო აქვს რამე. აქედან გამომდინარე, შეიძლება კოალიციური მთავრობაც მალე ვიხილოთ.

**ქუჩაში დარჩენილ ოპოზიციას ჯერჯერობით ერთადერთი საზრუნავი აქვს, ღირსეული პროტესტის გრძნობით დახვდეს ამერიკის ვიცე-პრეზიდენტს ჯო ბაიდენს... მაგრამ ჩანს, რომ არც სააკაშვილი და მისი გუნდია გულხელდაკრეფილი. თანაგუნდელები მონდომებით ცდილობენ, გაამაგრონ პრეზიდენტის მორყეული სკამი და 2013-მდე გაუხანგრძლივონ გამძლეობა.**

**თეა მოსია**

## პრესკონფერენცია

# პაატა ჯიბლაძე: გაზმომარაგების კომპანიები მოსახლეობას უმოწყალოდ ძარცვავენ

**გუშინ ლეიბორისტულმა პარტიამ პრესკონფერენცია გამართა და გაზმომარაგების კომპანიები „სოკარ ენერგო ჯორჯია“ და „ენერგო პრო ჯორჯია“ მოსახლეობის მიზანმიმართულ ძარცვაში დაადანაშაულა. ლეიბორისტული პარტიის წევრმა პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, რომ ეს კომპანიები მოსახლეობის ბინებიდან ბუნებრივი გაზის აღრიცხვის ხელსაწყოების გამოტანას და გარე მონტაჟს არ აფინანსებენ, რაც დაუშვებელია კანონმდებლობის მიხედვით.** ამ გზით მოპოვებული ათი ათასობით ლარი აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს გაზმომარაგების კომპანიების აბონენტებს. პაატა ჯიბლაძემ ამის დასტურად წარმოადგინა ოფიციალური დოკუმენტი, რომელსაც ხელს აწერს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარე: „თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მოსახლეობის ბინებიდან ბუნებრივი გაზის აღრიცხვის ხელსაწყოების გამოტანა და გარე მონტაჟი უნდა განახორციელოს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელმა კომპანიამ მისივე ხარჯებით. იმ შემთხვევაში, თუ ეს განხორციელდება მომხმარებლის ხარჯით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 30 სექტემბრის №10 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესების“ მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მომხმარებელს უფლება ექნება მოითხოვოს ამ თანხის უკან დაბრუნება ან შემდგომში მისი ანგარიშსწორებისას გაქვითვა“.



ლეიბორისტების ინფორმაციით, მსგავსი უკანონო ქმედებები საქართველოს თითქმის ყველა რაიონში ხორციელდება. ამიტომ ისინი მიმართავენ საქართველოს პრეზიდენტს და პროკურატურას, რათა სასწრაფოდ გამოიძიონ ეს ფაქტები და შესაბამისი რეაგირება მოჰყვეს.

**პაატა ჯიბლაძე, ლეიბორისტული პარტიის წევრი:**

— ხელისუფლების წევრების მფლობელობაში არსებული გაზმომარაგების კომპანიები უმოწყალოდ ძარცვავენ მოსახლეობას, განსაკუთრებით რაიონებში. ჩვენთან შემოდის უამრავი საჩივარი და თხოვნა, რომ მივხედოთ ამ პრობლემას. როგორც შეგვიძლია, ისე ვცდილობთ ამ ადამიანების დახმარებას. თუ ვითარება უახლოეს ხანში არ გამოსწორდება, მივმართავთ შესაბამის ზომებს.

**გიორგი გოგლიჩიძე, ზესტაფონის საკრებულოს წევრი:**

— ჩვენ წარმოგიდგინეთ დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ზემოხსენებული კომპანიების უკანონო მოქმედებებს. ჩვენ რომ სამართლიან სახელმწიფოში ვცხოვრობდეთ, მსგავს ფაქტებს დაუყოვნებლივ გამოიძიებდნენ, დამნაშავე პირებს პასუხისგებაში მისცემდნენ. ისედაც მძიმე სოციალურ ყოფაში მცხოვრებ ადამიანებს დამატებით ახდევინებენ ათეულ ათასობით ლარს და ჯიბეში იდებენ. დაუყოვნებლივ მოვითხოვთ დამნაშავეთა დასჯას და მოსახლეობისთვის კუთვნილი თანხების დაბრუნებას.

**ანა წიწილაშვილი**

## უყურე შენ!

# სააკაშვილი უგულავას ვერ აკონტროლებს

**ოპოზიციონერი დეპუტატი გია ცაგარეიშვილი დედაქალაქის მერს გიგი უგულავას საკუთრების უფლების უხეშ ხელყოფაში ადანაშაულებს.**

**ცაგარეიშვილის სამუშაო ოთახში, რომელიც დეპუტატმა „სახალხო ტრიბუნად“ გამოაცხადა, ფრიდონიშვილების ოჯახმა და მათმა ადვოკატმა მარიამ წერეთელმა პრესკონფერენცია გამართეს.**

მათი განცხადებით, უგულავამ ოჯახს ქონება „ლეიბორისტების“ ინტერესების გათვალისწინებით წაართვა.

კერძოდ, ფრიდონიშვილები ქალაქის მერსა და „ლეიბორისტული პარტიის“ წარმომადგენლებს გლდანის მეორე მიკრორაიონში მდებარე 2-ოთახიან ბინას ედავებიან, რომელიც ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ კანონიერი მემკვიდრეობით შვილებს დარჩათ.

როგორც ადვოკატმა მარიამ წერეთელმა განმარტა, საჯარო რეესტრსა და საპასპორტო სამსახურში განხორციელებული მაქინაციების შედეგად აღნიშნული ქონება სადაო გახდა და გიგი უგულავას ბრძანებულების საფუძველზე არასრულწლოვან მეპატრონეებს ჩამოართვეს.

ადვოკატის თქმით, მერიაში შეტანილ სასარჩელო განცხადებებში მითითებულია ჯავახიშვილის ქუჩა №88, სადაც ლეიბორისტული პარტიის“ ოფისი მდებარეობს და ამ საქმის უკან დგანან პარტიის იურისტები — ცუცქირიძე და უტიაშვილი, აგრეთვე, პარტიის ლიდერის შალვა ნათელაშვილის დაცვის უფროსი გიორგი ნათაძე.

ფრიდონიშვილების ოჯახმა რეაგირებისთვის სხვადასხვა ინსტანციებს მიმართეს, მათ შორის პრეზიდენტის ადმინისტრაციასაც, რომელმაც თბილისის მერს საკითხის დეტალური შესწავლა და რეაგირება დაავალა.

თუმცა, როგორც მარიამ წერეთელმა აღნიშნა, როგორც ჩანს, სააკაშვილს უჭირს თბილისის მერის გაკონტროლება და ორი არასრულწლოვანი ბავშვის ინტერესები დაუცველი რჩება.

**ინტერპრესნიუსი**

განსჯა

# რა თქვა მედვედევმა ცხინვალში ჩასვლით?

## ამერიკა ისევე მოგვეპყრობა როგორც ტაივანს?

***ის ფაქტი, რომ იმპერიული სახელმწიფოს პრეზიდენტი ცხინვალში „პირადად ეახლა დაუბანელ, კაცის მკვლელ, კორუმპირებულ, კრიმინალ კოკოითის"(?!) როგორც ჩანს, სულაც არ არის მისთვის უხერხული. თუ გავიხსენებთ, რომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებით აღტაცებულმა კოკოითიმ რუსეთის სადღეგრძელო სამლიტრიანი ქილით დალია, მედვედევის სტუმრობის სიხარულს, სავარაუდოდ, სხვა მასშტაბებში გამოხატავდა. ამ მხრივ მედვედევის შესაძლებლობები უცნობია, თუმცა რამდენიმე დღის წინ „დიდი რვიანის" სამიტზე მედვედევის მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, 3-ლიტრიანი ქილით თუ არა, პატარა „სირჩით" მაინც გაუწევდა კოკოითის თანამეინახეობას. რასაკვირველია, ეს სხვა საკითხია, თუმცა ცხადია, მედვედევი ფიქრობდა, რომ ცხინვალში მოულოდნელი ვიზიტით სილას გააწნავდა იმ პოლიტიკოსებს, რომელთაც სეპარატისტულ რეგიონებთან დაკავშირებით მოსკოვის მხრიდან რაიმე სახის პოზიციების ცვლილების იმედი ჰქონდათ.***

***არადა, აშშ-ის პრეზიდენტის ვიზიტი ჩამთავრებულიც არ იყო, ქართულმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა ობამას მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის გამო გაკეთებული განცხადება ლამის მედვედევისთვის ყურის აწევად შეაფასა. ობამამ კი დაიცვა პოლიტიკური თანმიმდევრობა, სხვა რომ არაფერი, როგორც გაეროს უშიშროების წევრი ქვეყნის ლიდერმა ხაზი გაუსვა ამ ორგანიზაციის ფუნდამენტურ პრინციპს. თუმცა მას ე. წ. „სარკოზი-მედვედევის" შეთანხმება არც კი უხსენებია, რაც, რასაკვირველია, მნიშვნელოვანი განაცხადი იქნებოდა რუსეთის მიერ 2008 წლის 26 აგვისტოს ხელმოწერილი სეპარატისტული რეგიონების აღიარების აქტის დენონსაციის პროცესზე კრემლის დასაფიქრებლად.***

ობამამ, ფაქტობრივად, აღიარა, რომ საქართველო რჩება ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანი, რომლის ირგვლივაც აშშ-სა და და რუსეთს უთანხმოება კვლავაც აქვთ. იმის მინიშნებაც გააკეთა, რომ ეს პრობლემა მისი პრეზიდენტობის პირობებში პრობლემად დარჩება, რაც სულაც არ ნიშნავს, რომ ვაშინგტონი კრემლის პოლიტიკას რაიმე სახით დაეთანხმება, მაგრამ მედვედევის ვიზიტით დასტურდება, რომ არც მნიშვნელოვან წინააღმდეგობას გაუწევს.

**სამწუხაროდ, საქართველოში წესად იქცა ცალკეული ფრაზების კონტექსტიდან ამოგლეჯა. მეტიც, აბსოლუტურად იგნორირებულია ფაქტების შეჯერების საფუძველზე დასკვნების გაკეთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმის მიხვედრა, რომ მხოლოდ სახელისუფლებო ეიფორიის დრო და ვითარება არ არის, ძნელი არ იქნებოდა.**

ის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის მიმდინარე ზაფხულს ომი არ იქნებოდა, გონიერმა ადამიანებმა იმთავითვე განაცხადეს და ამ საკითხის უტრირება ობამა-მედვედევის შეხვედრამდე ვის აძლევდა ხელს, ეს ცალკე საკითხია. რატომ იყო ქართულ პოლიტიკურ სპექტრში იმის მოლოდინი, რომ ობამა მოსკოვში არ მოახდენდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დეკლარირებას, ესეც გაუგებარია. მაგრამ **ფაქტია, რომ მედვედევმა ცხინვალში ვიზიტით, ფაქტობრივად, გასაგები გახადა, რომ მსოფლიოსთვის და მათ შორის აშშ-ისთვის, უმთავრესი რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებაა, ვიდრე არსებული სტატუს-კვოს შეცვლისთვის ზრუნვა.**

ამ სტატუს-კვოს შეცვლა რომ უახლოეს მოლოდინში მოსალოდნელი არ არის, ეს, ფაქტობრივად, ობამამაც დაადასტურა. მეტიც, აშშ-ს არ გაუპროტესტებია რუსეთის განცხადება, რომელიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონტექსტში ობამა-მედვედევის მოლაპარაკებების შინაარსს შეეხებოდა.

კერძოდ, **„პრეზიდენტებმა მოკლედ განიხილეს ეს საკითხი. მათ თავიანთი პოზიციები საკმაოდ გულღიად გამოხატეს, სრულიად გულწრფელად და ყოველგვარი წინაპირობის გარეშე შეთანხმდნენ, რომ გადაწყვეტილებები სუვერენულმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ".**

მაშინ, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტს ურეაგირებოდ არ რჩება უმნიშვნელო საკითხიც კი, ორი პრეზიდენტის შეხვედრის შედეგებზე საუბრისას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სუვერენულ სახელმწიფოებად მოხსენიება, ფაქტობრივად, ნიშნავს ვაშინგტონის მიერ დე ფაქტო არსებული ვითარების შეგუებას.

და კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო გარემოება: აშშ-ის ანალიტიკოსები ღიად საუბრობენ, რომ ვაშინგტონის პოზიცია საქართველოს მიმართ იქნება ისეთივე, როგორც ტაივანთან დაკავშირებით.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის წამყვანი ექსპერტის გედეონ როუსის განცხადებით, რომელიც აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე მრავალტირაჟიანი გამოცემის Foriegn Affairs-ის მთავარი რედაქტორია: **„აშშ-ის პოლიტიკა საქართველოს მიმართ უნდა აშენდეს იმავე სქემით, როგორც ტაივანთან: ჩვენ ვიცავთ მას იმ დრომდე, ვიდრე ის არ დაიწყებს თავისი გიგანტური მეზობლის გაბრაზებას".**

რამდენად სამარცხვინოა მედვედევის ჩასვლა ცხინვალში რუსული დიპლომატიისთვის, არის თუ არა ეს მოსკოვის სისუსტე ან სხვა უარყოფითი ეპიტეთებით აღსავსე პოლიტიკური ქმედება, ამის შეფასება თავად ფაქტს ვერ გადაფარავს.

**მოვლენების არასწორი ინტერპრეტირება, გულზე მჯიღის ცემა — საქართველოს გამო მოსკოვს ყური აუწიეს და სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, რომელიც დაგეგმილიც კი არ იყო, მას დასჯიანო — კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად არაპრაგმატულია ქართული პოლიტიკა.**

ახლა იმაზე ნუ დავიწყებთ დავას, რამდენად იცავს მოსკოვი „თამაშის წესებს", მისთვის რომ ეს წესები არ არსებობს, ეს უკვე დიდი ხანია ვიცით, ან უნდა ვიცოდეთ. საუბედუროდ, იმასაც ვერ ვხვდებით, რომ კრემლს შესწევს უნარი, რაოდენ არასასურველიც არ უნდა იყოს ეს ჩვენთვის, წესები თავად შექმნას და დაამკვიდროს.

და კიდევ ერთი, არცთუ უმნიშვნელო გარემოება: მედვედევის ცხინვალში ვიზიტის პერიოდში რუსეთი სრულად აკონტროლებდა საქართველოს ყველა სამხედრო ბაზას და თვით საქართველოს საჰაერო სივრცესაც კი.

**ამ ყველაფრის გათვალისწინებით იმაზე საუბარი, რომ მედვედევმა ცხინვალში ვიზიტით ობამას წინაშე გამოჩენილი სისუსტე გადაფარა, სულ მცირე, საკითხში გაურკვევლობას ნიშნავს, უმეცრებას თუ არა.**

პირიქით, თუ რეალისტები ვიქნებით, კიდევ ერთხელ უნდა მივხვდეთ, რომ მინიმუმ ოთხი წლის განმავლობაში აფხაზეთთან და ე. წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით საქართველოსთვის სასიკეთო ძვრები მოსალოდნელი არაა.

მაშინ, როდესაც ქართული სახელმწიფო ღიად აღიარებს, რომ დაკარგულ ტერიტორიებთან დაკავშირებით ის თავად ვერ ქმნის პოლიტიკას, ქართველი პოლიტიკოსები, სულ მცირე ვალდებულნი მაინც არიან, ან სწორი ანალიზი გააკეთონ, ან ანალიტიკოსები მაინც დაიქირავონ, რომლებიც მათ ილუზიური სამყაროდან რეალობაში დააბრუნებენ.

**პოლიტიკა შესაძლებლობების ხელოვნებაა, ხოლო დიპლომატია — ამ ხელოვნების მწვერვალი. ქართული პოლიტიკა კი, სამწუხაროდ, ხელოსნობას ვერ სცდება და ქართველი პოლიტდურგლები ჩაქუჩს ლურსმანს კი არ ურტყამენ, არამედ საკუთარ თითებს იმტვრევენ, თან ვერ ხვდებიან, თუ რა შედეგი მოაქვს ყველაფერ ამას ქვეყნისთვის.**

**გოჩა მირცხულავა,**

**ჯი-ეიჩ-ენი**



ენაზე მომდგარ სიტყვასა...

# დაუბანელი?

**ცხინვალში რუსეთის პრეზიდენტის ამ მართლაც ყოველმხრივ (გარდა საკუთარი მხარისა) გაუმართლებელ, აღმაშფოთებელ და მარტო საქართველოსთვის კი არა, მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის გამომწვევ ვიზიტს ჩვენი პრეზიდენტი ჩვეული სიჩაუქით გამოეხმაურა „პოსტნაბუქო" ანკარიდან. ჩვეული პირაუკვრელობითაც...**

ერთ დეტალზე მინდა მხოლოდ შეჩერება: „დაუბანელიო", კოკოითზე რომ თქვა. ჩემდათავად ოსი სეპარატისტების ლიდერის გამომსარჩებლის ყოფა ვატირე, მაგრამ იმას თუ ყველაფერი ეკადრება, ის თუ ყველაფრის ღირსია, საქართველოს ლიდერმა არ უნდა იკადროს საჯაროდ, საერთოდ ასე ლაპარაკი: რაც არ უნდა იყოს, ეგ კოკოითი დე ფაქტო პირია (თუნდაც პირდაუბანელი), გარკვეულ რეგიონს, გარკვეულ ხალხს ხელმძღვანელობს და, რაც მთავარია, უკან დიდ, დიდ ქვეყანასა და სახელმწიფოს იგულვის. „დაუბანელიო" თქმა არ შეეფერება მრავალგზის განათლებულ, მრავალდიპლომიან, თურმე რუსული დიპლომატიისაც შემსწავლელ ბატონ მიხეილს, ქვეყნის მეთაურს, ქვეყნის პრეზიდენტს. ეს არ არის დიპლომატის, პოლიტიკოსის ენა, „ლილიპუტინისა" არ იყოს.

საერთოდ, ეგ „ლილიპუტინი", ცხინვალზე პირველი მიხტომა, რუსი „შპიონების" ხმაურიანი დაჭერა, მეტადრე ცხინვალზე მეორე მიხტომა და სხვა მისთანებიც ძვირი დაუჯდა ქართველობას, ხალხს, მოსახლეობას, ქვეყანას. ჯერ არ ვიცით, ამ „დაუბანელს" რა მოჰყვება, მაგალითად, ცხინვალის რეგიონის მახლობელი ქართული სოფლებისთვის.

სხვათა შორის, თუ გულახდილობის ნებას მომცემენ, ჯერ ისიც არ ვიცით, ჩვენთა ხელისუფალთაგან უკვე აგრე გაბუქული „ნაბუქოც" როგორ მოგვიტრიალდება. კარგი და, რუსეთს რომ მოეხუშტუროს და რაიმე საბაბით მაგ „ნაბუქარზე" გვხეთქოს (ჩემს ენას ძირძიტაძ, რა, პროექტის მონაწილე ქვეყნები დაგვიდგებიან მხარში იმ აშშ-ის მეთაურობით და მედვედევ-პუტინის აგრესიას მოგვაგერიებინებენ? მეტი საქმე არა აქვთ! შარშან აგისტოში ხომ მოიკლეს ჩვენთვის თავი!

...ვაითუ ბატონი მიხეილის, ბატონი პრეზიდენტის ეს მორიგი პირაუკვრელობა, ენაუკონტროლობა ისევ ხალხმა, მოსახლეობამ, ქვეყანამ ზღოს (კვლავ ძირძიტა ჩემს ენას!ძ. თვითონ კი რა ენაღვლება, ვახშამდაც იქ დარჩებაო.. თვითონ კი რა ენაღვლება, როგორც პრეზიდენტობის პირველივე ხანებიდან აგრიალდა, როგორც აგვისტოს ტრაგედიის მერეც გრიალებს, მერმისაც ასე იგრიალებს... ჩვენ ვიკითხოთ, თვარა...

**თამაზ ებანოიძე**

ოპოზიციის ოპოზიცია

# თუ საკნების აღება სურთ, დაგვარბიონ

***რუსთაველის გამზირზე განლაგებული საკნების აღების თაობაზე ოპოზიციის ლიდერთა გადაწყვეტილებას საკნების ქალაქში შემორჩენილი პარტია „თავისუფლება" ეწინააღმდეგება. საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსს" „თავისუფლების" წარმომადგენელი სანდრო ბრეგაძე ესაუბრა:***



**— ბატონო სანდრო, აქციის ორგანიზატორებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ რუსთაველის გამზირზე საკნები აიღონ, ეთანხმებით მათს ამ გადაწყვეტილებაში?**

— ყველა პარტიას თავისი ხელმძღვანელი ჰყავს, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი კონსტანტინე გამსახურდია გახლავთ. როდესაც ეს ადამიანები გახდებიან ჩვენი პარტიის ხელმძღვანელები, მაშინ მათ შეუძლიათ ილაპარაკონ ჩვენი პარტიის სახელით.

**— თქვენ არ აპირებთ საკნების აღებას?**

— ვინც განაცხადა, რომ საკნებს იღებს, მათი პარტიის წევრები, ალბათ, სახლში წავლენ. ზოგი ზღვაზე წავა — დაისვენებს, ზოგი უცხოეთში წავა დასასვენებლად, ჩვენ არ ვაპირებთ დასვენებას...

**— ბატონო სანდრო, ნიშნავს ეს იმას, რომ აქციის ორგანიზატორი პარტიებისა და თქვენი პარტიის პოზიციები და გზები გაიყო?**

— ჩვენ ვართ იმ გზის გამგრძელებლები, რომელიც მერაბ კოსტავამ და ზვიად გამსახურდიამ დაგვისახეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს, მათ — თავიანთი. მოთხოვნა გვაქვს ერთი — გადადგეს სააკაშვილი, თორემ ტაქტიკაში, სტრატეგიაში, ღირებულებებში ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად სხვადასხვა ხედვები. ზოგისთვის მაგალითად, ის ადამიანები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას ავტომატს ესროდნენ, ეროვნული გმირები არიან, ჩვენთვის ისინი სამშობლოს მოღალატეები არიან. რა თქმა უნდა, მათ თავისუფლად შეუძლიათ ისაუბრონ თავიანთი პარტიების სახელით, ჩვენი პარტიის სახელით როგორ უნდა ისაუბრონ, მე არ ვიცი.

**— ბატონო სანდრო, რუსთაველის გამზირზე განლაგებულ საკნებში რამდენი თქვენი მომხრეა?**

— ამჟამად, დაახლოებით 60 ადამიანია, რომლებიც როტაციის პრინციპით იცვლებიან და ისინი ავლენ 100 კაცამდე. ხელისუფლება ამბობს, რომ საკნები უნდა ავილოთ, მათ გარდა თუკი ვინმე მიიჩნევს, რომ საკნები უნდა ავიღოთ, შეუძლიათ ხელისუფლებასთან ერთად მიიღონ საკნების დარბევაში მონაწილეობა, პრობლემა არ არის.

ხედვა



**ახლად დაფუძნებული მოძრაობის „დაიცავი საქართველო!“ პოლიტიკურ პერსპექტივებზე, თუ რა ხდება, სავარაუდოდ, ოპოზიციის ლიდერებს შორის და როგორი იქნება ხელისუფლება-ოპოზიციის ურთიერთობა შემოდგომაზე, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

# რამაზ საყვარელიძე: მოძრაობას – „დაიცავი საქართველო“ აქვს შანსი, პოლიტიკური ფუნქციის მქონე სერიოზულ ძალად იქცეს

**— ბატონო რამაზ, თქვენი აზრით, რამდენად სერიოზულ პოლიტიკურ ძალად შეიძლება ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველო“ და რა როლი შეიძლება ითამაშოს მან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში იმ მიზნებისთვის ბრძოლაში, რომელიც ოპოზიციას აქვს?**

— ამ კითხვას პასუხობს განვლილი სამი თვე, რომელშიც საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა. მოძრაობის სათაურიც მიუთითებს, რომ მისი დასახელება მომწიფდა 9 აპრილის აქციების ფონზე. 9 აპრილთან დაკავშირებულ აქციებს თან ახლდა მოძრაობის ორი ნაკადი – წმინდა პოლიტიკური და საზოგადოებრივი. მიტინგებს ერთნაირი აქტიურობით უძღვებოდნენ პოლიტიკოსები და საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებსაც სამომავლოდ პოლიტიკური ამბიცია არ გააჩნდათ.

საზოგადოებრივი ნაკადის ჩართვის მოტივი კარგად არის ასახული კლიპში, რომლიდანაც მოძრაობის სათაურია აღებული. ამ კლიპში სიტყვას არც ერთი პოლიტიკოსი არ ამბობს, ძირითად სათქმელს საზოგადოების წარმომადგენლები ამბობენ. მოძრაობის პათოსიც ეს არის. საქართველოს დაცვა არა მარტო ჯარისკაცების, მთავრობისა და პოლიტიკოსების, არამედ მთელი საზოგადოების საქმეა. რამდენადაც ვხვდები, ამ იდეის განხორციელებას შეეცდება ახლად დაფუძნებული საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველო“.

ძალაში რჩება ხელისუფლების შეცვლის იდეა, მაგრამ მოძრაობის დამფუძნებლები მიზნად არ ისახავენ ხელისუფლებაში მოსვლას. ხელისუფლების შეცვლის სურვილი პოლიტიკური მიზანი არ არის. ხელისუფლების შეცვლის სურვილი შეიძლება ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდეს, მაგრამ ეს პოლიტიკოსობას არ ნიშნავს. მოძრაობის ლიდერთა განცხადებებით თუ ვიმსჯელებთ, მათ პოლიტიკური ამბიცია არ ამოძრავებთ, მაგრამ აერთიანებთ ქვეყნის ბედ-იღბალზე ზრუნვა. ოპოზიციური სპექტრის ამგვარ მოძრაობაში გაერთიანება მათ კონსოლიდაციის მეტ საშუალებას მისცემს. მოძრაობას „დაიცავი საქართველო!“ აქვს შანსი, პოლიტიკური ფუნქციის მქონე სერიოზულ ძალად იქცეს.

**— თქვენი აზრით, მოძრაობა საზოგადოებას ახალს რას შესთავაზებს?**

— ალბათ ამ მოძრაობისთვის ბუნებრივი იქნება, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავის პოლიტიკურ კრედოდ აქციოს აქციების უფრო დიდი მასშტაბი, ვიდრე რუსთაველის პროსპექტია. ამ შემთხვევაში წმინდა გეოგრაფიულ მასშტაბებს ვგულისხმობ. საქართველოს მოსახლეობას დაელაპარაკებიან ის სახეები, რომლებიც საზოგადოებისთვის ნაცნობია. თუ თავად ამ კრედოში ახალი ასპექტები გამოჩნდება, დრო გვიჩვენებს, მაგრამ ფაქტია, რომ მათი უმრავლესობა 9 აპრილის აქციებიდან იქნება აღებული. ვერ ვიტყვი, რომ ამ პროცესში ბევრი რამ იყო სრულყოფილი, პოლიტიკური პროექტის თვალსაზრისით. ჩემი აზრით, ოპოზიცია ახლა შეეცდება ოპოზიციური მოძრაობის ხარვეზის გამოსწორებას.




მოძრაობის პოლიტიკური მიზანი ხელისუფლების შეცვლაა, ამიტომ მათგან ნაკლებად ველოდები პოლიტიკურ კონცეფციას, მაგრამ ამ მოძრაობისგან, სავარაუდოდ, მიზნისთვის ბრძოლაში ახალ გზებსა და მეთოდებს უნდა ველოდოთ. მოძრაობაში გაერთიანებულ ადამიანებს კარგად ესმით, საქართველოს მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ თავად უნდა გახდეს ამ ქვეყნის პატრონი. როგორ და რა ხერხებით მოახერხებენ ისინი ამ ამოცანის შესრულებას, დრო გვიჩვენებს.

**— პოლიტიკურ ლიდერთა ცალ-ცალკე აქტიურობა ხომ არ ნიშნავს, რომ ოპოზიციაში გადაჯგუფების გაფორმებისკენ მიდის საქმე და ფარული კონკურენციის დრო დასრულდა?**

— კონკურენციის გრძნობა პოლიტიკოსის ინსტინქტში უნდა იყოს. ლიდერებს რომ ერთმანეთის მიმართ კონკურენციის გრძნობა ჰქონდეთ, სრულიად გასაგებია. თუ კონკურენციასთან გვაქვს საქმე, ეს მისაღებია. მიუღებელია, როცა კონკურენცია პოლიტიკური კონკურენციის ფარგლებიდან გადის. პოლიტიკაში კონკურენციის სუნი ყოველთვის ტრიალებს. ოპოზიციას ამ ეტაპზე ერთი მიზანი აერთიანებს, ლიდერები ერთმანეთის კონკურენტები უდავოდ არიან, მაგრამ მათ შორის კონკურენცია მიზნის განხორციელების გზებსა და საშუალებების პოვნას უკავშირდება.

**— ალასანია ხელისუფლებისგან დიალოგს ითხოვს, მაგრამ ხელისუფლება მის მოწოდებას არ იმჩნევს. გასაგებია, რომ ზაფხულის გამო ხელისუფლება-ოპოზიციას შორის, გარკვეულწილად, ტაიმაუტია, მაგრამ თქვენი ვარაუდით, შემოდგომაზე როგორი იქნება ხელისუფლება-ოპოზიციის ურთიერთობა?**

— როგორც ვნახეთ, ხელისუფლებამ ოპოზიციასთან დიალოგი დროის გაყვანისა და დასავლეთში იმიჯის შექმნისთვის გამოიყენა. ვფიქრობ, მომავალშიც ასე იქნება. თუ ხელისუფლებას არ მოუნდა დიალოგი, მარტო ერთი მხრიდან დიალოგისთვის მზადყოფნა დიალოგის წინაპირობას ვერ გააჩენს. მაგრამ ეს, შესაძლოა, კარგი აღმოჩნდეს ოპოზიციისთვის, ვინაიდან ოპოზიციის დიალოგისთვის მზადყოფნა დასავლეთის მხრიდან მისადმი დამოკიდებულებაში გარკვეულ კორექტივებს შეიტანს.

ეჭვი არავის ეპარება, რომ შემოდგომაზე ოპოზიცია კვლავ გააქტიურდება. ხელისუფლების მხრიდან ზაფხულში ამოქმედებული რეპრესიული მანქანა და ეკონომიკური ხასიათის პრობლემები, რაზეც ეკონომიკური ექსპერტები ბევრს საუბრობენ, ახალ საპროტესტო ტალღას გამოიწვევს. ხელისუფლება-ოპოზიციის ურთიერთობებში ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, ვითარებისა და სიტუაციის გამწვავების ფონზე ოპოზიციასთან ურთიერთობის რა გზას აირჩევს ხელისუფლება.

**კობა ბენდელიანი**

ხელოვანის პოზიცია

# ხელისუფლებაში თუ ჭკუა აქვთ, თავადაც უნდა გაერთიანდნენ ახალ ორგანიზაციაში



***„ჯი-ეიჩ-ენი“ ესაუბრება მსახიობ ნატა მურვანიძეს***

**— რა არის „დაიცავი საქართველოს“ დაარსების მიზანი და რა მოტივით მიიღეთ ორგანიზაციაში გაწევრების გადაწყვეტილება?**

— ყველა ამ ქვეყანაში მცხოვრები, ვისაც სურს, რომ საქართველო ნახოს ისეთი, როგორსაც იმსახურებს, გაწევრდება ამ ორგანიზაციაში. ვფიქრობ, უკეთესი ქვეყანა, უკეთესი ადგილი არ არსებობს და მგონია, რომ ჩვენ არ ვუვლით მას. დედაჩემი მთელი ცხოვრება მასწავლიდა, რომ შენს ქვეყანას უნდა მოუარო. როდესაც ის ქუჩაში ნახავდა ბოთლს, აუცილებლად აიღებდა და ნაგავში ჩააგდებდა. იმიტომ, რომ ესეც შენი სამშობლოა და ნუ გაქვს რაღაცა დიდის შეგრძნება. ჩემი სამშობლო იწყება ქუჩიდან. ქუჩაში რომ არ გადააგდებ, არ დაანაგვიანებ და ა. შ. ამ მიდგომით, რომ ყველამ პატარ-პატარა რაღაც აკეთოს ამ ქვეყნისთვის, მართვაზე არ არის ლაპარაკი, პატარ-პატარა საქმეებისთვის რომ გავერთიანდეთ და მოვუაროთ ამ ქვეყანას, ის აჯობებს. ეს ყველას ეხება.

**— როგორ ფიქრობთ, შეძლებს თუ არა ეს ორგანიზაცია სერიოზული გავლენის მოხდენას საზოგადოებაზე.**

— ეს ორგანიზაცია არ იქმნება იმისათვის, რომ საზოგადოებაში ამინდი შექმნას. საზოგადოებაში ამინდი უკვე შექმნილია. ეს ორგანიზაცია იქმნება იმისთვის, რომ საზოგადოებას ჰქონდეს თავისი ფუნქციის შეგრძნება, მოვალეობის შეგრძნება ამ ქვეყნის წინაშე.

**— თქვენი შეხედულებით, რა ვალდებულებებს ითვალისწინებს ეს?**

— ვალდებულებებს ყველა იღებს თავის თავზე, ოღონდ ყველა ოჯახის წინაშეა ვალდებული და ქვეყნის წინაშე თითქოს არა. ამიტომ მგონია, რომ ეს გააერთიანებს და გაამთლიანებს ძალიან ბევრ ადამიანს და საერთო ჯამში ძალიან კარგ საქმეს გააკეთებს საზოგადოებისთვის.

**— თუ აღმოჩნდება, რომ ეს საზოგადოებრივი ორგანიზაცია ჩამოყალიბდება როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, თქვენ დარჩებით და გააგრძელებთ მუშაობას?**

— არა, მე მაქვს ჩემი საქმე, რომელიც ძალიან მიყვარს და მგონია, რომ ამ საქმით ვემსახურები ჩემს ქვეყანას. პოლიტიკურ ორგანიზაციად ჩამოყალიბების შემთხვევაში, არ დავრჩები ორგანიზაციაში, ისევ და ისევ ჩემი ქვეყნის სიყვარულიდან გამომდინარე. ის, რაც ძალიან კარგად ვიცი, არ ნიშნავს, რომ ყველაზე კარგად ვიცი, მაგრამ რაც ვიცი, იქედან ყველაზე კარგად ჩემი პროფესია ვიცი და ქვეყანას სწორედ ამით გამოვადგები.

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ ამ ორგანიზაციის უკან დგას ყოფილი შს მინისტრი კახა თარგამაძე. თქვენ როგორ უპასუხებდით ხელისუფლების ამ განცხადებას?**

— ვიცი, რომ ჩემ უკან არ დგას ნამდვილად. ამას სრული პასუხისმგებლობით გეტყვით. დარწმუნებული ვარ, არც იმ ათასობით ადამიანის უკან იდგება კახა თარგამაძე, რომლებიც ამ ორგანიზაციაში გაწევრდებიან. შეიძლება თავად კახა თარგამაძე გაერთიანდეს ამ ორგანიზაციაში და არ გამიკვირდება, რომ მას ეს უნდოდეს. მე ის მიკვირს, რომ ხელისუფლებას არ სურს ასეთი ორგანიზაციის არსებობა. ხელისუფლება ბედნიერი უნდა იყოს, რადგან არსებობს ამდენი ადამიანი, რომელსაც საქართველოს დაცვა სურს და ეს არ არის „გადასაყრელი“ და „ჩასარეცხი“ ხალხი. თუ ჭკუა აქვთ, თავადაც უნდა გაერთიანდნენ ამ ორგანიზაციაში.

**— საუბარია ორგანიზაციის საეჭვო დაფინანსებაზედაც...**

— თუ მე ვარ გულუბრყვილო და შეიძლება სხვანაირად არის საქმე (რაშიც ეჭვი მეპარება და მართლაც ისეთი ვიღაც აფინანსებს ამ ორგანიზაციას, რომ ქვეყანა დაიღუპება, ის ერთი ადამიანი ვერ გააფუჭებს საქმეს. აქ გაერთიანებული ადამიანები იმდენად სუფთად არიან მიმართულნი იმისკენ, რომ მართლა რაღაც გაკეთდეს, ერთი კახა თარგამაძე ნამდვილად ვერ გააფუჭებს ამ საქმეს.

**ესაუბრა
რიტა ყაველაშვილი**

ინფორმაცია

## ტრაგედია ნაქერალას უღელტეხილზე

**სამგზავრო ავტობუსის ნაქერალას უღელტეხილზე გადავარდნის შედეგად დაშავებული კიდევ ერთი გოგონა ხატია კავთიაშვილი გუშინ გამთენიისას ქუთაისის ეროვნული სამედიცინო ცენტრის რეანიმაციულ განყოფილებაში გარდაიცვალა.**

**მანამდე მას ფეხის ამპუტაცია გაუკეთეს, თუმცა ექიმებმა გოგონას გადარჩენა ვერ შეძლეს. დანარჩენი მოზარდების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.**

**ნაქერალას უღელტეხილზე, ტყიბული-ამბროლაურის მაგისტრალზე 40 მეტრის სიმაღლიდან სამგზავრო ავტობუსი ხრამში გადავარდა. ავტობუსს მოზარდები შაორის „პატრიოტთა ბანაკში“ გადაჰყავდა. შემთხვევის ადგილზე ორი მოზარდი დაიღუპა, 20-მდე კი დაშავდა.**



**ნაქერალას უღელტეხილზე მომხდარი უბედური შემთხვევის გამო საქართველოში 14 ივლისი გლოვის დღედ გამოცხადდა.**

**საქართველოს პრეზიდენტმა შესაბამისი ბრძანებულება გამოსცა. ყველა სახელმწიფო დაწესებულებებზე სახელმწიფო დროშები დაეშვა.**

## გაიზარდა საწვავის იმპორტი

**ბოლო სამი თვის განმავლობაში საქართველოში ნავთობპროდუქტების იმპორტი, წინა თვეებთან და გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა.**

**საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ინფორმაციით, აპრილი-მაისი-ივნისის განმავლობაში ქვეყანაში ბენზინის იმპორტმა 114,024 ათასი ტონა შეადგინა, 2008 წლის ანალოგიურ პერიოდში კი ბენზინის იმპორტი 102, 276 ათასი ტონას შეადგენდა.**

**ამავე პერიოდში საქართველოში დიზელის იმპორტი 97,154 ათასი ტონით განისაზღვრა. აპრილი-მაისი-ივნისის განმავლობაში დიზელის საწვავის იმპორტი 2008 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 2,243 ათასი ტონით გაიზარდა.**

ინტერპრესნიუსი

◎ მკითხველის ტრიბუნა: მე ასე ვფიქრობ

*რევოლუცია არ შედგა — გაერთიანებულმა ოპოზიციურმა პარტიამ მიზანს ვერ მიაღწია — აპრილსა და მაისში ჩატარებულ მიტინგებზე მოთხოვნამ: პრეზიდენტის გადადგომის და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნაზე შედეგი არ მოიტანა — პრეზიდენტი და მთავრობა ადგილზეა, საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნა. ხელისუფლება აბსურდულ მოთხოვნებს არ დაეთანხმა. გალიზიანებულმა ოპოზიციონერებმა გადააჭარბეს კანონით გათვალისწინებულ უფლებებს — გადაკეტეს გზები, პიკეტირება გაუკეთეს პარლამენტისა და ტელეკომპანია პირველი არხის შენობებს, ააგეს კარვები, ჩახერგეს რკინიგზა. პრობლემები შეექმნა მოსახლეობას. ხულიგნობის გამო სამართალდამცველებმა დააკავეს ოპოზიციური პარტიის რამდენიმე აქტივისტი.*

*ექსცესებს ხელისუფლებამ მოთმინებით, თავშეკავებულობით უპასუხა. შემდეგ მიტინგები პერიპეტიებით მიმდინარეობდა — გაერთიანებული ოპოზიცია გაიყო ზომიერებად და რადიკალებად. ხალხმა უკმაყოფილება გამოხატა გზების გადაკეტვის გამო, მიტინგებზე ხალხის რაოდენობამ საგრძნობლად იკლო.*



# როცა ტვინი სჯობნის მუშტს...

## ვივა ხელისუფლება! ვავა ოპოზიცია!

დაკავებული აქტივისტების განთავისუფლება თანაგუნდელებმა აკრძალულ ზონაში შესვლით სცადეს, რისთვისაც დაისაჯნენ.

რადიკალურმა ოპოზიციამ მუშტი დაატრიალა, ხელისუფლებამ — ტვინი. ტვინმა აჯობა მუშტს. რადიკალური ოპოზიცია იძულებული გახდა, უკან დაეხია. ვივა ხელისუფლება! ვავა ოპოზიცია!

რადიკალები ამბობენ: უკან იმიტომ ვიხევდით, რომ „რაზგონს“ ვიღებთ მორიგი შეტევისთვისო. ნათქვამი საფუძველს არ არის მოკლებული — რადიკალების ლიდერებმა უცხო ქვეყნებს მიაშურეს ფინანსების მოსაძიებლად. მათ იციან, რომ „ფული ნერვია ყოველივე საქმის“. იქ ისინი შეხვდნენ „ძველ მეგობრებს“ — ქართველ ოლიგარქებს, რომელნიც, რუსეთსავით, დაინტერესებულნი არიან საქართველოში ხელისუფლების შეცვლით, რათა „გარეაბილიტირდნენ“. ისინი ხელს იშვერენ საქართველოსკენ — მოუწოდებენ, აქეზებენ და უბიძგებენ რუსეთის ხელისუფლებას გამოსალაშქრებლად. ანდაზაა: „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინ ხარ შენ“. სახელს გაფრთხილება უნდა — „ბრძენი სიტყვითა დარჩების... მხვნელი — ოფლითა ცხელითა, გლახა — კარის-კარ თხოვნითა, — შენა გწადს აწ რომელითა?“ მოძიებული თანხა განკუთვნილია საქართველოში დესტაბილიზაციის აგორებით ფონის შესაქმნელად შესაძლო ინტერვენციისათვის, რათა შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდეს ოპოზიციური პარტიის ზოგიერთი ლიდერი.

მომავალში დაგეგმილ მიტინგებზე ოპოზიციური პარტიებმა თუ კვლავ ექსცესებს მიმართეს, ხელისუფლებამ ისევ მოთმინება უნდა გამოიჩინოს. თუ გონს არ მოეგენ და ძველ გზას დაადგნენ, ხელისუფლება იძულებული გახდება, წკეპლა იხმაროს. ნათქვამია: მეტისმეტი ბრეტისბრეტიო!

როდესაც მეზობლად ისეთი ქვეყანაა, როგორიც რუსეთია, საქართველომ მას უნდა დაუპიროს პიროს ისეთივე სახელმწიფო მმართველობის სისტემა, როგორიც თვით რუსეთშია. რუსეთი ბოროტად იყენებს საქართველოში არსებულ დემოკრატიას და ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ხელშეწყობით ცდილობს დესტაბილიზაციის გამოწვევას. რაც აპრილსა და მაისში თბილისში ჩაიდინეს რადიკალურმა ოპოზიციონერებმა, მოსკოვში რომ მსგავსი რამ გაეკეთებინათ ოპოზიციურ პარტიებს, ყველა მათ ლიდერს ციხეში ამოაყოფინებდნენ თავს. მეგობარი ქვეყნები ჩვენგან ნუ ითხოვენ ისეთ დემოკრატიას, რისკენაც ისინი ათეული თუ ასეული წლების განმავლობაში მიისწრაფოდნენ.



**ოთარ შონია.**

***P. S. მოსკოვში,** მედვედევთან, პუტინთან და სხვა შეხვედრებზე, პრეზიდენტმა ობამამ რუსეთისა და მსოფლიოს გასაგონად თქვა, რომ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სუვერენიტეტს და ევროსტრუქტურებში გაწევრებას. თუმცა რადიკალური ოპოზიციური პარტიების ლიდერებისთვის უფრო სასურველი იქნებოდა, საქართველოზე კრინტი არ დაძრულიყო. ეს შეიმჩნეოდა ტელევიზორში ბურჯანაძის მიერ მიცემულ ინტერვიუში ობამასა და ამერიკის ხალხისადმი ცალყბად გამოთქმულ მადლობაში და გაჩეჩილაძის მოღუშულ სახეზე. „მეგობრის სიტყვას ბევრი რამ შეუძლია, მაგრამ დიდი ფასი არა აქვს“ — „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უდევს დიდი ზღვარი“. როდესაც რუსეთი საქართველოს ტერიტორიის მიტაცებულ ნაწილებში სამხედრო ბაზებს აშენებს, ვის მოუბრუნდება ენა და იტყვის: რატომ აშენებს ამერიკა ბაზებს საქართველოშიო.*

*მეგობარ ქვეყნებს შორის, ყველაზე საიმედო ამერიკაა, მაგრამ მარტო სხვის იმედად არ უნდა ვიყოთ. ანდაზაა: „ზოგიერთს იმედი და ლოდინი სულელად აქცევსო“.ამიტომ მაქსიმალურად უნდა გავზარდოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა, სანამ რუსეთის ჯარი არ გავა საქართველოს ტერიტორიიდან, მზად უნდა ვიყოთ პარტიზანული ომისთვისაც კი. ოკუპანტის ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს.*

***ო. შ.***

◎ მოთმინების ფიალა

# რატომ გავაყაჩაღეთ აღმასრულებელი?!..

## ღმერთმა არ დაგაჭერინოთ საქმე აღმასრულებელ გელა ქომეთიანთან

**კანონიერ ძალაში შესულ სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, როგორც წესი გაიცემა სააღსრულებო ფურცელი.**

დაინტერესებული მხარე სააღსრულებო ფურცელს წარუდგენს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნულ ბიუროს (თამარ მეფის გამზირი № 1ძ. წინასწარ გეტყვით, რომ აღსრულების ეროვნული ბიურო და იქ დასაქმებული აღმასრულებლები კანონმა „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ უკიდეგანო უფლებებით აღჭურვა! მათ განკარგულებაშია აღსრულების პოლიცია, რომელსაც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეუძლია **„გამოიყენოს ფიზიკური იძულება, მათ შორის, ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები (?! ნ.ნ), პირადი, და სხვა პირთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით!“**

გამოიყენოს შემდეგი სპეციალური საშუალებები:

**— ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება;**

**— რეზინის ხელკეტები და ელექტროშოკური მოწყობილობა;**

**— უკიდურესი საშუალების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი“ (იხ. კანონის 14 მუხლი).**

ჰოდა, ვინ გაბედავს წინააღუდგეს ასეთ მრისხანე აღმასრულებელ-პოლიციელს? რომელსაც ძალადობის სხვა ბერკეტებიც გააჩნია, როგორიცაა:

— ინსტრუქცია სააღსრულებო წარმოების შესახებ (ძალაშია 2008 წ. 30 ოქტომბრიდანძ;

— აღსრულების ეროვნული ბიუროს დებულება;

— იუსტიციის მინისტრის 2008 წლის 30 სექტემბრის ბრძანებით დადგენილი აღსრულების ხარჯები.

ნება მომეცით ამ ე.წ. „ხარჯებით“ დავიწყო... სააღსრულებო კანონის 38-39 მუხლები 13 ქვეპუნქტისაგან აწესებენ აღსრულების საფასურს და ხარჯებს (რაც უკან არ ბრუნდება!ძ

მოკლედ მოგახსენებთ, რომ მოქალაქე, რომელმაც რამდენიმე მტანჯველი წელი სასამართლოს დავას შესწირა და „წამებულის გვირგვინი“ — სასამართლოს სააღსრულებო ფურცელი იგდო ხელთ... ახალი „წამების სუბიექტი“ ხდება, რადგან სააღსრულებო ბიურო არამცდაარამც არ ჩაიბარებს სააღსრულებო ფურცელს, თუ არ გადაიხადე აღსრულების საფასური 7 პროცენტიდან 2 პროცენტი. მაგალითად, მოგებული 38000 აშშ დოლარის ამოღებისთვის სააღსრულებო ბიუროში უნდა წარადგინოთ 760 აშშ დოლარის ეკვივალენტის 1254 ლარის გადახდის ქვითარი... **და არავითარი შეღავათი!!!** მაშინ როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სასამართლო ხარჯებისაგან ათავისუფლებს სოციალურად დაუცველ და სხვა კატეგორიის პირებს...

მკითხველს უნდა მოვახსენო, რომ ეს ე.წ. მრისხანე ეროვნული ბიურო ხანდახან კურდღელზე და წრუწუნაზე მშიშარაა. რადგან ამ „ლომს“ ფისუნიას გული აქვს!

მაგალითი? ინებეთ, ბატონებო:

2004 წელს მაშინდელ სააღსრულებო დეპარტამენტს ორი სააღსრულებო ფურცელი წარვუდგინე.

— პირველის ძალით საქართველოს გენერალურ პროკურატურას 7399 ლარის გადახდა დაეკისრა;

— მეორეს ძალით თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა 12.240 ლარის გადახდა...

10 წლის შემდეგ „ეროვნულმა“ სააღსრულებო სამსახურმა 2009 წლის 30 ივნისს 102-ე პასუხით შემატყობინა, რომ **„სააღსრულებო ფურცელი იმყოფება იძულებითი აღსრულების სტადიაზე“...** კიდევ რამდენი წელიწადი გაგრძელდება ეს სააღსრულებო ბოლერო, ბატონებო? ალბათ, ჩემს საადვოკატო გასამრჯელოს ჩემი კლიენტი საიქიოში გამომიგზავნის! .. (20 პროცენტი მეკუთვნის ამოღებული თანხიდან!ძ

ახლა კი მოგითხრობთ სულ „ცინცხალ“ ამბავს სააღსრულებო ბიუროს ერთ-ერთ „ლომზე“, ბატონ გელა ქომეთიანზე (ბოდიში ჩემს სვან ძმებთან, მეგობრებთანძ რომელსაც 2009 წლის



თებერვლის თვეში ჩაბარებული სააღსრულებო ფურცელი 38118 აშშ დოლარზე დღემდე უმოძრაოდ უდევს უჯრაში, ცხადია, მხედველობაში არ მიიღება მისი მოჩვენებითი მიწერ-მოწერა მოვალის ქონების დასადგენად, რადგან მოვალემ მის თვალწინ გაყიდა მთელი თავისი ქონება და ახლა ვალაუვალია! რაც სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად შესრულების მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს! ფაქტობრივად ბატონმა გელა ქომეთიანმა დააყაჩაღა ჩემი მარწმუნებელი — უმწეო 76 წლის პენსიონერი, უსახლკარო ქალბატონი იზოლდა ქარელი, რომელიც მრავალწლიანი სასამართლო წამების შემდეგ 38117 აშშ დოლარის პატრონი გახდა...

ბ-ნი გ. ქომეთიანი ჩვენს წერილებზე არ რეაგირებს და გვემალება

ბატონო იუსტიციის მამებო! იქნებ ისმინოთ ჩვენი „ვედრება“ და აღსრულდეს მართლმსაჯულება!!! — იფიქრეთ ადამიანზე, ქალბატონ იზოლდა ქარელზე! როდესაც, უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არ სრულდება, უნდა ამოქმედდეს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომლის ძალით გ. ქომეთიანმა, სახელმწიფო მოხელემ, ქართულ სახელმწიფოსთან ერთად პასუხი უნდა აგოს პიროვნების წინაშე. უნდა გვახსოვდეს, რომ თვით უკანონობასაც კი თავისი კანონები გააჩნია...



**ნოდარ ნებიერიძე,**
**იურისტი, ჟურნალისტი.**

***რედაქციისაგან:** იურისტ ნ. ნებიერიძის წერილში ფრიად მწვავე, აქტუალური საკითხია დაყენებული. იმედია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ბოლოს და ბოლოს დაინტერესდება აღსრულების ეროვნული ბიუროს აშკარად უხეირო მუშაობით, რისი თქმის საფუძველსაც ამ ბოლო დროს მოქალაქეთა გახშირებული საჩივრები გვაძლევს. სხვათა შორის, იმასაც ბევრი იწერება, ღმერთმა არ დაგაჭერინოთ საქმე აღმასრულებელ გელა ქომეთიანთანო.*

**განსჯა**

# დასავლეთი საკმაოდ გვეხმარება და ამის დაუნახაობა უმადურობა იქნებოდა



**„ინტერპრესნიუსი“ ესაუბარება პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორს, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ზურაბ აბაშიძეს**

**— ბატონო ზურაბ, ამერიკის პრეზიდენტის საქართველოს მხარდამჭერი განცხადებების მიუხედავად, თავად ობამამ აღნიშნა, რომ საქართველოს საკითხში რუსეთის დამოკიდებულების შეცვლას უახლოეს მომავალში არ ელოდება. თქვენი აზრით, საქართველოს საკითხში ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის აზრთა სხვადასხვაობა რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს?**

— ობამას ვიზიტის მომზადების პერიოდში უამრავი ანალიტიკური მასალა მომზადდა და გამოქვეყნდა როგორც დასავლეთში, ისე რუსეთში. თუ ამ მასალებს შევაჯამებთ, ობამას ვიზიტს რამდენიმე მოლოდინს უკავშირებდნენ. პირველი ის, რომ შეიძლება, რუსეთის ხელმძღვანელობას მიეღო აშშ-ს ლიდერისგან სიგნალი, მინიშნება იმის თაობაზე, რომ საქართველო და უკრაინა რუსეთის გავლენის სფეროში მოიაზრება. ყოველ შემთხვევაში, გაკეთებულიყო ისეთი განცხადება, რომელიც რუსეთის ხელმძღვანელობას ასეთი დასკვნის საშუალებას მისცემდა. ეს ჩვენთვის ყველაზე არასახარბიელო, პესიმისტური სცენარი იქნებოდა.

ბევრი ანალიტიკოსი წინასწარმეტყველებდა, რომ ამერიკის პრეზიდენტის პოზიცია იქნებოდა მყარი, გააკეთდებოდა განცხადებებს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის შესახებ. ასევე, მცირე დოზებით იყო მოლოდინი, ილუზია და სურვილი იმისა, რომ რაღაც შეთანხმება მიღწეულიყო კავკასიაში გარკვეული ერთობლივი მოქმედებების შესახებ, კერძოდ საქართველოში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. მართალი გითხრათ, მეც მქონდა ამის სურვილი, მაგრამ ეს იყო ძალიან ფრთხილი ოპტიმიზმის გამოვლინება და შეიძლება ითქვას, რომ ამას რეალურად თითქმის არავინ არ ელოდა.

ახლა უკვე ნათელია, რომ უფრო მეორე ვარიანტი გამართლდა, როდესაც რუსეთის მხრიდან არანაირი პოზიტიური მინიშნება არ გაკეთებულა, რომ რუსეთი რაღაცნაირად ფიქრობს, გადახედოს თავის პოლიტიკას საქართველოში, ხოლო ამერიკის პრეზიდენტმა კვლავ დაადასტურა თავისი მტკიცე პოზიცია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.

ობამამ მოსკოვს ნათლად მიანიშნა, რომ ახალი ძალადობა აშშ-სთვის მიუღებელია. ძალიან საინტერესო იყო ობამას საჯარო გამოსვლა რუსეთის ეკონომიკურ სკოლაში, სადაც მან, ფაქტობრივად, კონცეპტუალურად გააცნო რუსეთის საზოგადოებას თანამედროვე მსოფლიოს შესახებ ხედვა, ფილოსოფია, რომლის მოლოდინი და იმედი ამერიკის ახალ პრეზიდენტს უკავშირდება. მან ნათლად აღნიშნა, რომ ამერიკისთვის მიუღებელია ცივი ომის რეციდივები; რომ სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა — ეს ის პრინციპებია, რომელთა ხელყოფა არ შეიძლება და წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოს ქაოსი მოიცავს. ასევე, დიდმა ქვეყანამ არ უნდა დაჩაგროს პატარა. ერთი შეხედვით, ამ მოსაზრებებში განსაკუთრებული და ახალი არაფერია, მაგრამ ეს პრინციპები ბოლო წლებში იმდენად დაირღვა და შეილახა, რომ, როგორც ჩანს, მათი დადასტურება და გახსენება, გარკვეულწილად, ახალ ელემენტებს შეიცავს.

ვეთანხმები აზრს, რომ საერთო ჯამში ეს ვიზიტი პოზიტიური იყო იმ თვალსაზრისით, რომ გაჩნდა დადებითი ელემენტები რუსეთსა და ამერიკას შორის ურთიერთობებში, რაც ყველასთვის კარგია, მათ შორის — ჩვენთვის. თუ აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობებში პოზიტივი გაჩნდება, ეს საქართველოსა და მთლიანად კავკასიაზე დადებითად იმოქმედებს. რაც შარშან, აგვისტოში მოხდა, გარკვეულწილად, დასავლეთსა და რუსეთს შორის დაპირისპირების შედეგიც არის. მეორე პოზიტივი ის გახლავთ, რომ ჩვენ უფრო გარკვეული ვართ, რომ აშშ საქართველოსთან მიმართებაში პოზიციის გადახედვას არ აპირებს; მეტიც, 10 დღეში საქართველოში ვიზიტით ჩამოვა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. ვფიქრობ, ეს მნიშვნელოვანი ვიზიტი კიდევ ერთხელ დაადასტურებს თეზას, რომ აშშ-სა და საქართველოს შორის სტრატეგიული პარტნიორობა მტკიცეა.

**— მხარდამჭერი განცხადებების გარდა, უნდა გვქონდეს იმედი, რომ აშშ და დასავლეთი რუსეთის მიმართ საქართველოსთვის სასარგებლო კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამენ?**

— განცხადებების გარდა, ნამდვილად არის მხარდაჭერის სხვა გამოვლინებებიც. უპირველესად, ეს გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში აშშ-სა და დასავლეთის მხრიდან ძალიან მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას უკავშირდება. რომ არა ეს დახმარება, საქართველო ომის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. არის, ასევე, საერთაშორისო პროექტები, რომლებშიც საქართველოს მონაწილეობა მოიაზრება და ეს პროექტები მომავალში, გარკვეულწილად, უსაფრთხოების გარანტიებსაც გულისხმობს; იგივე გაზსადენები, სატრანზიტო მარშრუტები, რომლებიც ევროპაში საქართველოს გავლით ენერგოშემცველების მიწოდებას ითვალისწინებს.

ასევე, ვახსენებდი ევროკავშირის ახალ ინიციატივას — აღმოსავლეთის პარტნიორობას, რომელიც სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებთან, ასევე, უკრაინასთან, ბელორუსთან და მოლდოვასთან მჭიდრო თანამშრომლობას ითვალისწინებს.

ევროკავშირი ამ ქვეყნებთან თვისობრივად ახალ ურთიერთობებს გეგმავს. ამ თემებზე საუბრისას, არ უნდა დაგვავიწყდეს სტრატეგიული თანამშრომლობის ქარტია, რომელიც ნახევარი წლის წინათ აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმდა და, რომლის რეალიზაციის მექანიზმებიც ახლა იქმნება. ეს, ალბათ, იქნება ერთ-ერთი მთავარი სასაუბრო თემა ბაიდენის თბილისში ვიზიტისას. ასე რომ, ჩვენ დასავლეთი საკმაოდ გვეხმარება და ამის დაუნახაობა დიდი უმადურობა იქნებოდა.

**— მიუხედავად ამისა, იტალიაში ვიზიტისას მედვედევმა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საერთაშორისო მისიების აღდგენაზე საუბრის დროს, დასავლეთს კავკასიაში ახალი რეალობის აღიარებისკენ მოუწოდა. რამდენად ეფექტური შეიძლება აღმოჩნდეს დასავლეთის მხრიდან რუსეთზე ზეწოლის ის ჩამონათვალი, რომლითაც დასავლეთი და აშშ საქართველოს ეხმარება?**

— მედვედევის იტალიაში გაკეთებულ განცხადებაში ახალი მეც ვერაფერი დავინახე, მაგრამ ვნახოთ; შეიძლება, უახლოეს ხანში გამოჩნდეს ამ განცხადებასთან დაკავშირებით ახალი დეტალები. მიუხედავად ამისა, არა მგონია, რომ რუსეთმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს და საქართველოს მიმართ რაღაც პოზიტივი გაჩნდეს. როგორც ჩანს, არსებული ვითარება კარგა ხანს გაგრძელდება. ჩვენ უნდა ვიყოთ განწყობილი ისე, რომ ახლო მომავალში კარდინალურ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ და კონფლიქტების მოგვარების გრძელი გზისთვის განვეწყოთ. ამ ეტაპზე სხვა გამოსავალი არ ჩანს.

ამასთანავე, დღევანდელ მსოფლიოში დრო იმდენად „შეიკუმშა“, რომ რაც გუშინ წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, დღეს უკვე რეალობაა. ხვალინდელი დღის გადმოსახედიდან კი ბევრ რამეს ალბათ სულ სხვანაირად დავინახავთ. მართლაც, აბა სულ რაღაც 30 წლის წინათ, ვინ წარმოიდგენდა, რომ რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური პარტნიორი დღეს გაერთიანებული გერმანია იქნებოდა... გარკვეულ ეტაპზე, ჩვენ მაინც მოგვიწევს ფიქრი რაღაც თემებზე რუსეთთან ურთიერთობების დასაწყებად. არის ობიექტური პრობლემები, რომლებიც რუსეთისთვისაც წარმოადგენს საფრთხეს და საქართველოსთვისაც. ვფიქრობ, ამ თემებზე, ადრე თუ გვიან, მოსკოვსა და თბილისს შორის საუბარი დაიწყება. ეს არის უპირველეს ყოვლისა ტერორიზმის თემა, რაც მზარდ საფრთხედ იქცა ჩვენს ირგვლივ.

**— რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთოებების აღგენაზე საუბარი გახშირდა და თქვენი აზრით, რა შემთხვევაში შეიძლება მოსკოვსა და თბილისს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა?**

— როდესაც ამას წინათ საპატრიარქოს დელეგაციასთან ერთად მოსკოვში გახლდით, ჩვენმა რუსმა კოლეგებმა ეს თემა ახსენეს. ჩვენ მათ ვუპასუხეთ, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ძალიან ბევრი იქნებოდა რუსეთის სამი საელჩო — ცხინვალში, სოხუმსა და თბილისში. მათ ეს შენიშვნა თითქოს იუმორით აღიქვეს, მაგრამ ჩვენს კომენტარში ნათლად იყო მითითებული, რომ ასეთი რამ საქართველოსთვის მიუღებელია.

მართლაც, ძნელად წარმოსადგენია, ჩვენ აღვადგინოთ დიპლომატიური ურთიერთობები ასეთ პლატფორმაზე: რაც იყო იყო და ახლა მოდით, ვითანამშრომლოთ. ასეთ ვითარებაში ჩვენი მხრიდან რუსეთთანთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ტოლფასი იქნება. რუსეთმა ჯერ უნდა შეასრულოს ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებები (სარკოზიმედვედევის შეთანხმება მაქვს მხედველობაში) და შემდეგ, შეიძლება ფიქრი შემხვედრ ნაბიჯებზე.

**— რუსეთის პოლიტიკურ წრეებში მართლაც განიხილება თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ მოსკოვმა თბილისს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ქვეყნის კონფედერაციული მოწყობა შესთავაზოს, მაგრამ ამის სანაცვლოდ რუსეთმა საქართველოსგან ნატოზე უარის თქმას მოითხოვოს?**

— ვერ გეტყვით; შეიძლება, რაღაც ალტერნატიულ ვერსიებს მართლაც განიხილავენ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენს დელეგაციას ამ თემაზე არ უმსჯელია. ჩვენი ვიზიტის მიზანი წმინდა საეკლესიო პრობლემატიკა იყო. ჩემს მოსკოველ კოლეგებთან და ნაცნობებთან პირადი შეხვედრები მქონდა, მაგრამ რუსეთის მხრიდან რაღაც თვისობრივად ახალი მოდგომების თემა ნამდვილად არ განხილულა.

ჩემი პირადი დაკვირვებით, მოსკოვში ყველა ძალიან ჩაფიქრებული და შეშფოთებულია ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარებით. ისინი აცნობიერებენ, რომ ამ ვითარების გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება სწორედ მოსკოვის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება იყოს, რამაც კავკასიაში ძალიან საშიში პრეცედენტი შექმნა. როდესაც ტერორიზმზე ვსაუბრობდი, მხედველობაში მქონდა ის გარემოება, რომ მოსკოვის ხელმძღვანელობისთვის ეს თემა სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება. ასე რომ, შესაძლოა, რაღაც ეტაპზე მისთვის საჭირო გახდეს ყველა მეზობელთან გარკვეული კონსულტაციების დაწყება. ეს პირადად ჩემი მოსაზრებაა.

გარდა ამისა, არის წმინდა პრაქტიკული საკითხები, რომლებიც თუნდაც ჰუმანიტარული თვალსაზრისით გადაწყვეტას ითხოვს. კერძოდ, ასეთი საკითხია ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო-გამტარი პუნქტის გახსნა. ამაში ჩვენ განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა არ უნდა დავინახოთ, მაგრამ ეს თავისთავად პრაგმატული ნაბიჯი იქნება როგორც რუსეთისთვის, ასევე საქართველოსთვის და სხვებისთვისაც.

**კობა ბენდელიანი**

**ინფორმაცია**

## რომელ უძრავ ქონებას ადევს ყადაღა?

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო აგრძელებს მომსახურების დახვეწას და მომხმარებელს კიდევ ერთ, გამარტივებულ მომსახურებას სთავაზობს.**



ამიერიდან, დაყადაღებულ უძრავ ქონებაზე ინფორმაციას მოქალაქეები საქართველოს ყველა ქალაქიდან და რაიონიდან ინტერნეტის მეშვეობით მიიღებენ.

სერვისი მნიშვნელოვნად უმარტივებს მუშაობას როგორც კერძო კომპანიებს, ასევე მოქალაქეებსაც. მათ უკვე შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად, ვებ-გვერდზე გაეცნონ საჯარო რეესტრის მონაცემებით თუ რომელ უძრავ ქონებას ადევს ყადაღა ან დატვირთულია საგადასახადო გირავნობაჰიპოთეკით.

უძრავ ქონებაზე ყადაღის შესახებ გაცემული ცნობების გაყალბების შემთხვევებს ბევრი დაწესებულება, მათ შორის ბანკები, ნოტარიუსები, უძრავი ქონების სააგენტოები ხშირად აწყდებოდნენ. ამ პროგრამის საშუალებით კი ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია, გადაამოწმოს მოქალაქის მიერ წარმოდგენილი ცნობა და ინტერნეტით, საკუთარ კომპიუტერში შეადაროს დედანი ასლს.

## სამოქალაქო წინააღმდეგობა საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგ

გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ ფონდ „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ინიციატივით, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელთა შეხვედრაზე, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფართომასშტაბიანი კამპანიის წარმოებას საპარლამენტო უმრავლესობის საკანონმდებლო ინიციატივის წინააღმდეგ.

ჯგუფის მთავარი მიზანი იქნება, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მობილიზებით, არ დაუშვას იმ საკანონმდებლო პაკეტის დამტკიცება, რომლის თანახმად პოლიტიკურად და სამართლებრივად გაუმართლებელი ცვლილებები შედის კანონში „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“, კანონში „პოლიციის შესახებ“ და “საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“.

ჯი-ეიჩ-ენი

## „სხვისი“ ომი ?!

***წინა საუკუნეში, როცა ამერიკის დემოკრატმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ჩინეთში ყოფნისას ერთ-ერთ უნივერსიტეტში სტუდენტების წინაშე მაღალ იდეალებზე — ადამიანის უფლებებსა და სამოქალაქო საზოგადოებაზე — მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა, ოკეანგადაღმელ სტუმარს ეს „თავხედობა“ ეპატია. აშშ-ის ლიდერი თავის დემოკრატიულ სამშობლოში დაბრუნდა, აღფრთოვანებული ჩინელი სტუდენტები კი შეიკრიბნენ, შესაბამის სტრუქტურებს თავისი არასამთავრობო ორგანიზაციის დასარეგისტრირებლად და ადამიანის უფლებების დასაცავად მიაკითხეს, რის გამოც არადემოკრატიული პასუხი მიიღეს — მათ 10-10 წელი მიუსაჯეს. არავინ იცის იმ საბრალო ჩინელების ბედ-იღბლის შესახებ. სავარაუდოდ ისინი ციხიდან უკვე გამოვიდნენ და, ალბათ, ნანობენ კიდეც, კლინტონს რომ დაუჯერეს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ სულაც არ ნანობენ. რას ან ვისგან გაიგებ ამხელა ქვეყნის „უჩინარების“ ბედ-იღბალზე? რეალურად, ჩინურ არაეკონომიკურ ამბებსა და კიდევ სხვა ბევრ რამეს ვერ ჩავწვდებოდით, რომ არა Human Rights Watch-ის მსგავსი თითო-ოროლა ორგანიზაციის ანგარიშები. თუმცა გამორიცხული არც ისაა, რომ ექს-გულანთებულები სიამაყით იხსენებენ ციხეში გატარებულ ათ წელიწადს, თუმცა „შეცდომის“ განმეორებას აღარ აპირებენ. თუმცა ვინ იცის?..***

დღეს დემოკრატ **ბარაკ ობამას** მისი კრიტიკოსები პრეზიდენტისეული სოციალური რეფორმატორული შეტევების ტალღაზე ბილ კლინტონის წარუმატებლობას შეახსენებენ, კონკრეტულად კი იმის გამო, რომ ობამა სამედიცინო სფეროში სახელმწიფოს ჩარევის გაზრდას ცდილობს, რათა ამით ყველა ამერიკელს სრულფასოვანი სამედიცინო დაზღვევა ჰქონდეს. კლინტონის დროს ეს კეთილშობილი იდეა მარცხით დასრულდა. თუმცა ეს არა იმდენად აშშ-ის საგარეო პოლიტიკას ეხება, რამდენადაც ქვეყნის შიდა სამზარეულოსა და პრეზიდენტის რეიტინგს. წელიწადში ერთხელ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიც აქვეყნებს ანგარიშს სხვა ქვეყნებში „შიდა დემოკრატიის“ ხარისხის შესახებ, მაგრამ სხვადასხვა ქვეყნებში თავისუფლების არა ზოგადი, არამედ კონკრეტული მდგომარეობა უფრო არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღების ღირსი ხდება, ვიდრე — სამთავრობოსი. რუსეთში ობამას ვიზიტამდე HRW-მა მასპინძელ ქვეყანაზე ანგარიშიც გამოაქვეყნა, მაგრამ რამდენადაც მახსოვს, ციტატები ამ „რეპორტიდან“ ობამას თავის რუსი კოლეგისთვის დიდად არ შეუხსენებია, რადგან სამიტზე უფრო „დიდ და გლობალურ საკითხებზე“ უნდა შეთანხმებულიყვნენ. თუმცა ისევე, როგორც ჩინეთში კლინტონის გამოსვლა, ობამას ტექსტიც ხაზს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს კვლავ უსვამდა.

ამერიკის პირველმა აფროამერიკელმა პრეზიდენტმა ჯერ კიდევ აშშ-ში ყოფნის დროს თავისი ლექციის წარმოთქმის ადგილად მოსკოვში „ეკონომიკის ახალი სკოლის“ აუდიტორია აირჩია და არა პატრის ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტი. ალბათ, მისი ყურადღება სიტყვებმა „ახალი“ და „ეკონომიკა“ მიიპყრო. რუსულმა მედიამ კი ამერიკის ლიდერის სიტყვის საკვანძო ფრაზები ისე სათავისოდ „გადათარგმნა“, რომ მისი ნამდვილი ავტორი ველარასოდეს მიხვდება, რომ რუსულად ინტერპრეტირებული წინადადებები ოდესღაც მისი ტექსტის ნაწყვეტები იყო. მხოლოდ ამ „ახალი ეკონომიკური სკოლის“ საერთაშორისო ენაზე მოუბარი სტუდენტები თუ გაიგებდნენ ობამას ინგლისურს პირდაპირი მნიშვნელობით, თარჯიმნების გარეშე. ჰოდა, ახლა, მგონი, მივაგენი იმ ფარულ მიზეზს, რის გამოც მაღალმა სტუმარმა თავისი „სფიჩისთვის“ სწორედ ეს სასწავლო დაწესებულება აირჩია... იმედია, ახალგაზრდა რუსები ჩინელი სტუდენტების ბედს არ გაიზიარებენ. ამერიკული „ღამის შოუს“ წამყვანი კი მეორე დღეს ხუმრობდა: ობამას, ალბათ, იმ სკოლის ტრიბუნიდან რუსებისთვის 4 მლრ. რუბლის სესხების თხოვნით მიმართვა უნდოდაო. ხუმრობაც დროის შესაბამისია, რადგან ეკონომიკური რეცესია საერთაშორისო ვალუტის სამშობლოში კვლავ არ კარგავს აქტუალობას. რაც შეეხება კრემლში ობამას ვიზიტის გაშუქებას, აშშ-ის ტელევიზიას ამისთვის დიდად არ ეცალა. 6-7 ივლისს ამერიკა მაიკლ ჯექსონს ეთხოვებოდა. ასეა თუ ისე, ცივი ომის მოქმედი გმირების მთავარი „სახელმწიფო ძმრები“ ერთმანეთს შეხვდნენ, ობამამ კი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დაცვასა და ატომური იარაღის არსენალის შემცირებაზე საუბრის გარდა რუსეთის პრემიერ-მინისტრს დაუმსახურებელი კომპლიმენტიც უმისამართა, თანაც იმის შესახებ, რომ პუტინმა ბევრი რამ გააკეთა ქვეყნისთვის, როცა იგი პრეზიდენტი იყო, რომ იგი რუსი ხალხის რჩეული იყო. ობამას ვერ მოსთხოვ უცხო ქვეყნის „საშინაო საქმეებში“ ისეთ ჩარევას, როგორიც ეს კლინტონმა გააკეთა, როცა, ფაქტობრივად, ჰაიტიში მთავრობის ჩამოგდებას შეუწყო ხელი. თუმცა დიდი სახელმწიფოები იმისთვის არიან დიდები, რომ თავიანთი ზომაწონა და ატომურობა საერთო „წერტილების“ მოძიებაზე დაკარგული დროის არგუმენტად მოიყვანონ. „სხვა წერტილები“ კი კვლავ „სხვად“ დარჩებიან. აშშ-ის პრეზიდენტს არ დაუკონკრეტებია, იგულისხმებოდა (იგულისხმებაძ თუ არა ვლადიმერ ვლადიმერის ძე ჩეჩენი ხალხის რჩეულად. ჩეჩნეთის ომის აქტიური ფაზები ხომ უმეტესად რესპუბლიკელი ბუშის პრეზიდენტობის დროინდელია, მათ შორის საქართველოს მიწაზე შარშან აგვისტოში გაჩაღებული დაპირისპირებაც. ისე კი, ჩეჩნების მასობრივი და დაულალავი ამოჟუჟვის ფონზე ბუშს პუტინის თვალებში სულიერი წიაღსვლები რომ არ გაეკეთებინა, იქნებ 2008 წლის ტრაგედია არც დაგვტყდომოდა თავს. თუმცა ვინ იცის? ისე კი ყველაფერი თავისი რიგით მიდის: არასამთავრობოები არასამთავრობოებენ და „ნეთვორკები“ „ნეთვორკობენ“. მაგალითად, ამერიკული Chechenya Advocacy. ამ ხალხის ტრაგედიაზე სპექტაკლებიცა და ფილმებიც (მარტინ კემპბელის ფილმი „საზღვრებს იქით“ ანჯელინა ჯოლისა და კლაივ ოუენის მონაწილეობითძ იქმნება. თუმცა ესეც იქვე რჩება, სადაც იქმნება. არასამთავრობო ორგანიზაციებისა და კინოთეატრების სივრცეში.

* * *

**ნენსი ბევერლი** ცნობილი კალიფორნიელი დრამატურგია, რომელიც პატარაობიდანვე წერდა, ახლა კი სხვადასხვა თეატრალური, სატელევიზიო, მედია და ინტერნეტ კომპანიებისთვის მუშაობს, წერს პროექტებსა და სცენარებს (მათ შორისაა პოპულარული ტელესერიალი „სასოწარკვეთილი დიასახლისები“ძ. პიესა „გოდისლავი“, რომლის პრემიერა სანტამონიკას თეატრის სცენაზე შედგა, ჩეჩნეთის ტრაგედიას ეძღვნება. დრამატურგმა იგი მას მერე დაწერა, რაც გაზეთ L.A.Times-ში წაიკითხა სტატია იმ ნიუ-იორკელებზე, რომლებიც 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ თავისი დაღუპული, საყვარელი ადამიანების ოთახებში შედიან და აღმოაჩენენ იმას, რაც მანამდე არ იცოდნენ თავიანთი ვაჟების, ქალიშვილების, ახლობლებისა და მეგობრების შესახებ.

— ეს დამატყვევებელი ისტორიები იყო. — მიყვება ნენსი ბევერლი. — გაზეთში 11 სექტემბერზე გამოქვეყნებული ისტორიები მე დავუკავშირე რამდენიმე წლის წინათ იმავე გაზეთ L.A.Times-ში დაბეჭდილ რეცენზიას. იგი ეხებოდა ჩეჩენი ჰასან ბაიევის (თანაავტორები რუთი და ნიკოლას დანილოვებიძ წიგნს „ფიცი: ქირურგი ცეცხლის ქვეშ“. იმავე წიგნის მეორე გამოცემას კი „ჩემი გულის სევდა“ ეწოდა. მე შემძრა ამ ისტორიებმა და პიესა დამაწერინა.

**— რუსეთი XX-XXI საუკუნეების გასაყარზე ჩეჩნეთს საშინელი მეთოდებით ებრძოდა და ეს ომი ამერიკისთვის და არა მარტო მათთვის, მაინც უცნობ ომადაა „გაფორმებული“...**

— სამწუხაროდ, ჩემმა კოლეგებმა და საერთოდაც ამერიკელებმა არაფერი იციან ჩეჩნეთის ომის შესახებ. თუმცა შემიძლია ვთქვა, რომ როგორც კი ჩემი პიესა კალიფორნიის სცენაზე დაიდგა, ამერიკული პრესა მაშინვე ალაპარაკდა ჩეჩნეთის ტრაგედიაზე. „გოდისლავის“ სცენარში დოკუმენტალური ფილმების გადამღები კასეი მაკქეინი (გამოგონილი სახელგვარიძ უცნაურად გაუჩინარდება. მისი მეგობარი გოგონა ჯანა კი მის ძებნას იწყებს, ერთხელაც იგი კაცის ბინაში შედის და კასეის ჟურნალს იპოვის. აღმოჩნდება, რომ მაკქეინი დოკუმენტურ ფილმს ჩეჩნეთში მომსახურე სამხედრო ქირურგ ვლადიმირ გოდისლავზე იღებდა. ფილმის ნახევარი გადაღებულიც ჰქონია. ჟურნალის ფურცლები რუსეთ-ჩეჩნეთის სამოქალაქო ომის დროს გოდისლავის თავგადასავალს აღწერს. რასაკვირველია, ვლადიმერიც გამოგონილი ფიგურაა. მისი პორტრეტის შექმნაში კი ბაიევის წიგნი დამეხმარა. ჩემმა პიესამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა: ყველას აინტერესებდა მართლაც სად გაქრა დოკუმენტალისტი და ამავე დროს ყველა ყურადღებით უსმენდა და იმახსოვრებდა გოდისლავის მიერ ჩეჩნეთის ომზე მოყოლილ საშინელ ისტორიებს.

გეთანხმებით, ამერიკამ ამ ომის შესახებ არაფერი იცის. მხოლოდ მას მერე, რაც წიგნიდან პრესაში ჩემს მიერ გადმოტანილი პატარა ისტორიები გაჩნდა, ბევრი მართლაც დაინტერესდა პატარა ჩეჩნეთის ბედით. ვაკუუმის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სუპერსახელმწიფო რუსეთი სრულად აკონტროლებდა იმ ინფორმაციას, რომელიც ორ ქვეყანას — ამერიკასა და რუსეთს შორის — გაიცვლებოდა და ამიტომაც აშშ -ში არავის ჰქონდა ამ სამარცხვინო ომის სრული სურათი.

# „უცნობი ომი“, რომელიც „მოგუდულად“ გრძელდება...



იხ. 9 გვ.

**შპს „თბილისის სააუქციონო სახლი“ (მდებარე: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 71) მართავს პირველ იძულებით საჯარო აუქციონს თამარ ნიკვაშვილის (მცხ: თბილისი, ალმაშენებლის გამზ. №185) და გიორგი სპანდერაშვილის (მცხ: თბილისი, გორგასლის მე-3 შესახვევი, №2) სახელზე რიცხული უძრავი ნივთების რეალიზაციის მიზნით. უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით სს „ბანკ რესპუბლიკის“ სასარგებლოდ მოვალის, შპს „გეომეტალის“ ფულადი ვალდებულების უზრუნველსაყოფად. აუქციონზე გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:**

1. უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ალმაშენებლის №85. მესაკუთრის წილობრივი მონაცემები 29.00/386.00; საკადასტრო კოდი №01.13.07.023.026.-01.500.

2. საცხოვრებელი ფართი მდებარე, ქ. თბილისი, გორგასლის მე-3 შესახვევი, №2, მესაკუთრის წილობრივი მონაცემები 29.00/241.00; საკადასტრო კოდი №01.18.04.015.005.01.500.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის $306^{4}$-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირველ იძულებით აუქციონზე თამაზ ნიკვაშვილის, თამარ ნიკვაშვილისა და გიორგი სპანდერაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საწყისი გასაყიდი ფასი შეადგენს 432362.14 ლარს.

აუქციონი გაიმართება თბილისში, მისამართზე: ვაჟა-ფშაველას 71, II სართული, 2009 წლის 23 ივლისს, 14.00 საათზე. ტელ: 207 307.

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

1ძ საბანკო გარანტია საწყისი თანხის 10 პროცენტზე, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულ გადახდას (გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი სს „ბანკი რესპუბლიკა“ და გარანტიის მინიმალური ვადა უნდა იყოს აუქციონის გამართვის დღიდან ათი საბანკო დღეძ;

2ძ აუქციონში მონაწილე პირის პირადობის მოწმობის ასლი;

3ძ მინდობილობა, თუ პირი წარმოდგენილია სხვა პირით (ფიზიკური პირის შემთხვევაში აუცილებელია მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმებაძ;

4ძ თუ აუქციონში მონაწილეობს იურიდიული პირი, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნას სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი და უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება უძრავი ქონების შესყიდვაზე (თუკი წესდებით ანდა კანონით გათვალისწინებულია ამგვარი თანხმობის საჭიროებაძ.

აუქციონზე მონაწილეობისთვის საბუთების მიღების ბოლო ვადად განისაზღვრა 2009 წლის 23 ივლისი, 13:30 საათი.

ყველა სხვა პირი, რომელსაც გააჩნია უფლებები აღნიშნულ უძრავ ქონებაზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი დოკუმენტი და მტკიცებულებანი წარმოადგინოს აუქციონის დაწყებამდე, 2009 წლის 23 ივლისის 14:00 საათამდე.

აუქციონზე გამარჯვებულმა პირმა უძრავი ქონების ღირებულება (აუქციონზე დაფიქსირებული თანხაძ სრულად უნდა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან 7 დღის განმავლობაში, ნასყიდობის თანხის ჩარიცხვით შპს „თბილისის სააუქციონო სახლის“ ანგარიშზე 10900938679, მომსახურე ბანკი: სს „ბანკ რესპუბლიკას“ ცენტრალური ფილიალი.

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველომ მედვედევის ვიზიტს სამხრეთ ოსეთში „ამორალური“ უწოდა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მკაცრად გააკრიტიკა დიმიტრი მედვედევის გადაწყვეტილება გაემგზავროს სამხრეთ ოსეთში.**



საქართველოს ლიდერის აზრით, „დღეს მომხდარი შევა რუსეთის დიპლომატიის ისტორიაში, როგორც ყველაზე სამარცხვინო და ამორალური პრეცენდენტი“. საქართველოს პრეზიდენტის სიტყვებით, მედვედევის ვიზიტი „ამორალურია იმითაც, რომ, ალბათ, ის გაატარეს დანგრეულ ქართულ და ოსურ სოფლებში“.

რუსეთის სახელმწიფოს ხელმძღვანელის ეს პირველი მოგზაურობა რესპუბლიკაში, რომლის დამოუკიდებლობაც მოსკოვმა აღიარა 2008 წელს. საქართველოსგან გამოყოფილი ამ ტერიტორიის დამოუკიდებლობა რუსეთის გარდა არ ულიარებია არც ერთ სახელმწიფოს მსოფლიოში.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილმა რუსეთის მოქმედებას პროვოკაცია უწოდა.

„მედვედევის ეს მგზავრობა სამხრეთ ოსეთში უფრო სიმბოლურია იმასთან დაკავშირებით, რომ ემთხვევა „ნაბუქოს“ ხელმოწერას, რაც რუსეთის ფედერაციას დიდ ღირსებას არ მატებს. რა კანონზომიერ განვითარებაზე შეიძლება მიდიოდეს საუბარი რეგიონში, სადაც 15 ათასი კაცი დარჩა და სადაც მოხდა ეთნიკური წმენდა? ეს აშკარად პროვოკაციული მოქმედებაა“, — განაცხადა საქართველოს მინისტრმა.

„მინდოდა ჩემი კმაყოფილება გამომეხატა იმისათვის, რომ მოვიწვიეთ თქვენს ახალ სახელმწიფოში, ახალ ქვეყანაში — სამხრეთ ოსეთში, რომელიც წარმოიქმნა დრამატული მოვლენების შედეგად და რომელსაც ნამდვილად დაუჭირა მხარი რუსმა ხალხმა, მძიმე წუთებში“, — განაცხადა მედვედევმა სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტთან ედუარდ კოკოითთან შეხვედრის დროს.

მისი სიტყვებით, რუსეთს აქვს „რესპუბლიკის ეკონომიკისა და სოციალური სფეროს აღდგენის მთელი რიგი პროექტები“, აგრეთვე იმის შეგნების „აუცილებლობა მხარი დაუჭიროს და ითანამშრომლოს მასთან თავდაცვის სფეროში, ხელი მოაწეროს შესაბამის ხელშეკრულებებს ამ სფეროში“.

თავის მხრივ ედუარდ კოკოითმა მადლობა გადაუხადა დიმიტრი მედვედევს მხარდაჭერისა და რესპუბლიკის აღიარებისათვის, მის ვიზიტს ცხინვალში უწოდა „დიდი დღესასწაული“ მთელი სამხრეთოსეთელი ხალხისთვის“.

BBC RUSSIAN.com

## მედვედევი: სააკაშვილის საქმის გარჩევა ჩვენი ამოცანა არაა

**2008 წლის აგვისტოს მოვლენებში, რაც სამხრეთ ოსეთში მოხდა, პასუხისმგებლობა ეკისრება „სააკაშვილის რეჟიმს“, მაგრამ მისი სასამართლო — ქართველი ხალხის ამოცანაა.** როგორც იტარ-ტასი იტყობინება, ამის შესახებ განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა სოჭში სამხედრო მეზღვაურებთან შეხვედრის წინა დღით.

„მთლიანი პასუხისმგებლობა იმისათვის, თუ რა მოხდა, მთლიანად ამ რეჟიმს დაეკისრა“, — ხაზგასმით აღნიშნა მან.

„ჩვენი ამოცანა არაა ამის განხილვა, ოდესმე ქართველი ხალხი გამოუტანს განაჩენს სააკაშვილის რეჟიმს, ყველა მათ, ვინც მონაწილეობას ღებულობდა ამ სისხლიან მოქმედებებში“, — ხაზგასმით აღნიშნა მედვედევმა.

РОСБАЛТ



## ევროპა რუსეთის გაზს ეტყვის „მშვიდობით“




**გუშინ „გაზპრომმა“ მწარე აბი გადაყლაპა. შვიდი წლის ეჭვების, დისკუსიებისა და ვადის გადადებების შემდეგ ხელი მოეწერა დოკუმენტს, რომელიც გზას უხსნის მილსადენის მშენებლობას, მისი სიგრძე იქნება 3300 კილომეტრი და მისი მეშვეობით ყოველდღიურად ცენტრალური აზიიდან ევროპას რუსეთის სამხრეთი საზღვრების გვერდის ავლით მიეწოდება 31 მილიარდ კუბურ მეტრამდე ბუნებრივი გაზი.** ეს პროექტი თავიდან აიცილებს „დამოკლეს მახვილს“, რომელიც ყოველწლიურად დაკიდებული იყო ევროპის თავზე განუწყვეტელი საგაზო დავების შედეგად მოსკოვსა და კიევს შორის. ამ კონფლიქტებმა ამოწურეს ევროპელ მომხმარებელთა მოთმინება, განსაკუთრებით მორიგი შეტაკების შემდეგ, როდესაც რუსეთმა შეწყვიტა გაზის მიწოდება უკრაინისათვის და მუხლებზე დააყენა ევროპის მთელი რიგი ქვეყნები.

ლეონარდო კოენი

la Repubblica

## რუსეთის პოლიტიკამ XIX საუკუნეში გამოიწვია თანამშრომლობა XXI საუკუნეში

**პრეზიდენტ მედვედევზე ნაკლებად იმოქმედა ობამას მოწოდებამ — უარი თქვას XIX საუკუნის საგარეო პოლიტიკაზე, ნათქვამია გაზეთის სარედაქციო სტატიაში, სადაც აღნიშნულია, რომ რუსეთის ლიდერი ეწვია ცხინვალს.** „რუსეთი არ აპირებს უარის თქმას თავის კამპანიაზე მეზობლების სატელიტად გადაქცევასთან დაკავშირებით, თანაც იყენებს ისეთ უხეშ ინსტრუმენტებს, როგორიცაა სამხედრო ძალა და კონტროლი ნავთობისა და გაზის მიწოდებაზე“, — ასეთ დასკვნას აკეთებს გამოცემა.

ამასთან დაკავშირებით გაზეთი მიესალმება ხელშეკრულების ოფიციალურ ხელმოწერას ნაბუქოს გაზსადენთან დაკავშირებით თურქეთისა და ოთხი ევროპული ქვეყნის მიერ. „მილსადენები ჩვეულებრივად არ არიან საერთაშორისო პოლიტიკასა და მაღალი დიპლომატიის საგნები, მაგრამ მოსკოვმა ისინი ამნაირად აქცია“, — ამტკიცებს გაზეთი და აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში რუსეთმა ორჯერ გადაკეტა ვენტილი, რათა შუაზე გაეხლიჩა უკრაინის დემოკრატიული მთავრობა.

washingtonpost.com

## აფხაზეთი რუსეთის დახმარებასა და ჯარებს მიესალმება

**მიუხედავად იმ ნიშნებისა, რომ რუსეთი ცდილობს აფხაზეთში ეკონომიკურ და სამხედრო დომინირებას, რესპუბლიკის წარმომადგენლებს იმედი აქვთ, რომ რუსეთის დახმარება ხელს შეუწყობს მის განვითარებას.**

საქართველო თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი — ეს მისი ტერიტორიებია, რომლების ოკუპირებაც მოახდინეს რუსეთის ჯარებმა და რომლებსაც მართავენ პრორუსული მარიონეტული მთავრობები. საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში და მთავარი მომლაპარაკებელი ამ საკონფლიქტო სიტუაციებში თემურ იაკობაშვილი აღნიშნავს, რომ რუსეთს მხოლოდ ტერიტორიები სჭირდება.

„მოდით, ვიყოთ პატიოსნები. რუსეთს არ აინტერესებს აფხაზეთის განვითარება. რუსეთი არასოდეს ყოფილა დაინტერესებული ოკუპირებული ტერიტორიების განვითარებით“, — ამტკიცებს იგი.

რუსეთ-საქართველოს შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთისა და აფხაზეთის მთავრობებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებათა სერიებს, რომლებიც მათ ჰპირდებიან ჰუმანიტარულ და სამხედრო დახმარებას.

არავის აინტერესებს შეკითხვა: „რას აკეთებს ნატოს შვიდი ათასი სამხედრო მოსამსახურე კოსოვოში“? რატომ არის, რომ ვარშავის ხელშეკრულების ყველა ყოფილი ქვეყანა ინტეგრირებულია ნატოში?“ მიზეზი ერთია: ყველას სურს თავისი სახელმწიფოს უშიშროება, ამბობს აფხაზეთის პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში. „თუ სხვა ქვეყნებს შეუძლიათ ამის გაკეთება, რატომ ჩვენ არ შეგვიძლია ავირჩიოთ პარტნიორი ჩვენი დაცვისათვის?“

ნიკოლას კლეიტონი

The Washington Times

## დედამიწის ზურგზე



**„ალ-ქაიდა ჰპირდება ჩინეთს, რომ შურს იძიებს მუსულმანური უიგურების სიკვდილისთვის**

შურისძიების ობიექტები გახდებიან ასეული ათასობით მიგრანტები, რომლებიც მუშაობენ ჩრდილოეთ აფრიკაში, მათ შორის დაახლოებით 50 ათასი ჩინელი ალჟირში, განაცხადა „ალ-ყაიდამ ისლამურ მაღრიბში“. ბინ ლადენის ბოევიკები პირველად ემუქრებიან ჩინეთს, აღნიშნავენ ექსპერტები.

* * *

**კუნძულს, რომელიც რუსეთის ფედერაციიდან ესტონეთისკენ დაცურდა, გაანადგურებენ თუ იგი რუსეთის ჯებირს მიუახლოვდა**

ხმელეთის ტყიანი მონაკვეთი, რომლის ფართობია 4 ჰექტარი და რომელიც გადაადგილდა ესტონეთის მხარეზე ნარვის წყალსაცავში, ჯერჯერობით არ წარმოადგენს საშიშროებას. მაგრამ თუ იგი დაემუქრება ჰიდროელექტროსადგურს, მას დაანგრევენ. დარჩენილი ნაკვეთები ჩაცურდება მდინარეზე ფინეთის ყურეში.

* * *

**ირანში სიკვდილით დასაჯეს 13 სუნიტი ბოევიკი, რომლებიც მონაწილეობდნენ ზაჰედანის აფეთქებაში**



ტერაქტი მოხდა მაისში. აფეთქების შედეგად შიიტების მეჩეთში დაიღუპა ოცდახუთი კაცი, ასზე მეტი დაიჭრა. სიკვდილით დასჯილი ბოევიკები შედიოდნენ სუნიტების ექსტრემისტულ ორგანიზაციაში, რომელიც დაკავშირებული იყო ალ-ყაიდასთან.

* * *

**ჩინეთში კოკისპირული წვიმების გამო 22 კაცი დაიღუპა**

ძირითადი დარტყმა სტიქიამ მიაყენა ქალაქ ჩუნცინს, რომლის მახლობლადაც დაიღუპა ტურისტების ჯგუფი — ხალხი ტალახის ნაკადში აღმოჩნდა. დატბორილია 1,6 ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი. სიჩუანის პროვინციაში წვიმების შედეგად დაზარალდა 166 სოფელი.

* * *

**ჩეხეთის პრეზიდენტი კვლავ მხარს უჭერს აშშ-ის განზრახვას — განათავსოს ქვეყანაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტები**

ვაცლავ კლაუსმა განაცხადა: „ჩემი აზრი ამერიკის რადარების განთავსების შესახებ ჩეხეთის რესპუბლიკაში არ შეცვლილა. ერთი წლის წინათ მოგახსენეთ, რომ კანონი ამ რადარის შესახებ ხელმოწერილი იქნება, როგორც კი მას მოიწონებს ჩვენი პარლამენტის ორივე პალატა“. რუსეთის მხარის აზრით, ჩეხეთში და პოლონეთში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების განთავსება საფრთხეს უქმნის რუსეთის ფედერაციის ეროვნულ უშიშროებას.



## „სხვისი“ ომი ?!

(მეშვიდე გვერდიდან)

**ელენა მაგლევანნაია** ახალგაზრდა რუსი პოეტი და ჟურნალისტია, (აგვისტოს ომის დროს რუსულენოვან მედიაში საქართველოს მხარდამჭერ წერილებს ბეჭდავდა), რომელმაც ჩეჩნების ტრაგედიასა და რუსეთში მათ დევნაზე არაერთი სტატია და ჟურნალისტური გამოძიება გამოაქვეყნა. იგი იბეჭდება რუსულ გამოცემაში „სვობოდნოე სლოვო“ და „პატიმართა უფლებების დაცვის ფონდის“ მაცნეში, ასევე სხვადასხვა ინტრნეტ გამოცემებში, აქვს თავისი ბლოგი. მისი ბოლო სტატიების სერია რუსეთის ციხეში, რომელსაც იგი რუსულ საკონცენტრაციო ბანაკს უწოდებს, ჩეჩენი ზუბაირ ზუბაირაევის წამების ფაქტებს ეხებოდა.

# „უცნობი ომი“, რომელიც „მოგუდულად“ გრძელდება...



ზუბაირ ზუბაირაევი

რუსმა ჟურნალისტებმა და ადამიანის უფლებების დამცველებმა ელენას მხარდასაჭერად მძლავრი და დროული კამპანია ააგორეს. ციხის ადმინისტრაციამ კი მაგლევანნაიას „ცილისწამების“ უარყოფა მისივე სტატიის გამოქვეყნებით მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული ჯარიმითა და კიდევ სხვა „არასანქცირებული“ სასჯელებით დაემუქრა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ელენას სიცოცხლესა და თავისუფლებას მართლაც სერიოზული საფრთხე შეექმნა, ამიტომ ერთი თვის წინათ იგი იძულებული შეიქნა ქვეყანა დაეტოვებინა და ფინეთისთვის შეეფარებინა თავი. მე მას ჰელსინკში დავუკავშირდი და ვთხოვე განემარტა უცხოეთში პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნის მიზეზი.

— მე გაუთავებლად მემუქრებოდნენ. განსაკუთრებით მას მერე, რაც გამოვაქვეყნე ციხეში ზუბაირაევის წამების ფაქტების ამსახველი წერილების სერია. მოხდა ისე, რომ ციხით აქეთ დამემუქრნენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით სისხლის სამართლის კოდექსებით უნდა გავესამართლებინე იმისთვის, რომ უარს ვამბობდი ჩემივე ტექსტის უარყოფაზე — მითხრა ელენა მაგლევანნაიამ. — მე ამ უარყოფას არასოდეს დავწერდი, რადგანაც ჩემს სტატიებში თითოეული სიტყვა აბსოლუტურ სიმართლეს შეესაბამებოდა. გარდა ამისა მე დამემუქრნენ რუსეთის ნაციონალისტური ორგანიზაციები მხოლოდ იმის გამო, რომ ჩეჩენს გამოვექომაგე. ახლა უსაფრთხოდ ვარ და შემიძლია ჩემი საქმიანობა განვაგრძო.

**— ემიგრაციისთვის ფინეთი რატომ აირჩიეთ?**

— ერთი თვის წინათ ფინეთში ადამიანის უფლებების დამცველ კონფერენციაზე გახლდით მიწვეული და ჩასვლისთანავე პოლიტიკური თავშესაფრის მისაღებად განცხადებაც დავწერე. თანაც მომეწონა ფინეთი. იგი თავისუფალი, ევროპული ქვეყანაა. აქ ყველას შეუძლია უშიშრად იცხოვროს და იმუშაოს, ხოლო ჩემი შეხედულებების გამო „თეთრ ყვავად“ არ ვგრძნობ თავს. ფინეთში ჩეჩნებს კარგად ეპყრობიან და საერთოდ ადამიანებს ეროვნების მიხედვით არ არჩევენ. რუსეთში კი ყოვლისმომცველი შიში და დათრგუნულობაა. ჩემი შთაბეჭდილებით, ფინეთში ადამიანი თავს თავისუფლად გრძნობს.

**— ჩეჩნეთში თითქოს აქტიური საბრძოლო მოქმედებები არ მიმდინარეობს, მაგრამ ეს ომი ისევაა, თუმცა „მოგუდულად“. ასე არ არის?**

— ჩეჩნების დიდი ნაწილი ციხეში ჩეჩნეთის პირველ და მეორე ომში მონაწილეობის გამო ზის. მათ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის „მძიმე“ მუხლებით ასამართლებენ — ტერორიზმი, ბანდიტიზმი, „უკანონო სამხედრო ფორმირებებში“ მონაწილეობა. ამ მუხლებით მათ მინიმუმ 12 წელს აძლევენ, მაქსიმუმ — სამუდამო პატიმრობას. ძალიან ბევრია ის, ვისაც 20 წელი მიუსაჯეს და უფრო მეტი, ვისაც სამუდამო პატიმრობა ელის. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ჩეჩნებს სისხლის სამართლის კოდექსით ასამართლებენ, მაშინ როცა ისინი სამხედრო ტყვეები არიან. განაჩენის გამოტანის შემდეგ ყველას რუსეთის შორეულ რეგიონებში აგზავნიან, ხოლო პირობები, რომლებშიც ისინი იმყოფებიან, უმძიმესია. ჩეჩენ პატიმრებს კოლონიის ადმინისტრაცია განსაკუთრებული სიმკაცრით ეპყრობა. ისინი საშინელ იზოლატორებში იმყოფებიან, სადაც სინესტე და აუტანელი სიცივეა. ამის გასამართლებლად კი კოლონიის ხელმძღვანელობა ჩეჩნების მიერ ციხის რეჟიმის არარსებულ დარღვევას იშველიებს. ჩეჩენ პატიმრებს არ აქვთ ახლობლებთან შეხვედრისა და მათგან რაიმეს მიღების უფლებაც კი, მათ ძალიან ხშირად სცემენ და სხვადასხვა ველური მეთოდებით აწამებენ. ამიტომაც ციხეში ჩეჩნების სიცოცხლის ხანგრძლივობა ხანმოკლეა. აუტანელი პირობების გამო ისინი მძიმედ ავადდებიან, ხოლო სიკვდილის გამომწვევ მიზეზად ციხის ადმინისტრაცია „უცნობ ფაქტორს“ ასახელებს.

**— რუსეთის ციხეებში წამების მეთოდს მხოლოდ ჩეჩნების წინააღმდეგ იყენებენ?**

— რუსეთის ციხეებში წამება ზოგადად მიღებული პრაქტიკაა. მაგრამ ჩეჩნები — ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. ვერ იპოვით ჩეჩენს ციხეში, რომელიც დისკრიმინაციას თავისი ეთნიკურობის გამო არ განიცდიდეს. ჩეჩნები კოლონიის თანამშრომლების სახით თავის ძველ მტრებს ხვდებიან, იმათ, ვის წინააღმდეგაც ადრე ჩეჩნეთში იბრძოდნენ. რუს ჯარისკაცებს კი ჯარში მსახურობის დასრულების შემდეგ, სადიზმისა და ძალადობის უნარ-ჩვევები ახალ სამსახურში გადააქვთ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რუსეთის ციხის სისტემაში არსებობს დაუფარავი დისკრიმინაცია ეროვნული კუთვნილებისადმი და ეს ეხება უპირველესად ჩეჩნებსა და ქართველებს.

**— კავკასიელებს გამოძიების დროსაც აწამებენ თუ „დედოვშჩინა“ მხოლოდ სასამართლოს შემდეგ ციხის საკანში მოხვედრისას იწყება?**

— გამოძიების სტადიაზე მათგან აღიარებით ჩვენებას მოიპოვებენ იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც მათ არასოდეს ჩაუდენიათ. აიძულებენ, ცრუ ჩვენება ვიღაცის წინააღმდეგ მისცენ. სასამართლოს მერე კი მთელს ღვარძლს ჩეჩნებზე ანთხევენ, ამცირებენ ყოველგვარი მიზნისა და მიზეზის გარეშე, უბრალოდ საკუთარი სიამოვნებისთვის. ამას სჩადიან ისინი, ვინც ჩეჩნეთში რუსეთის მხარეს იბრძოდა.

**— ასეთი ბრალდებებით რამდენი ჩეჩენი ზის ციხეში და რამდენი ჟურნალისტი ტოვებს რუსეთს თავისი პროფესიული საქმიანობის გამო?**

— არაოფიციალური მონაცემებით რუსეთის ციხეებში 22 ათასი ჩეჩენი პატიმარია. რაც შეეხება ჟურნალისტებს, ამდაგვარი სტატისტიკა არ არსებობს, მაგრამ პრეცენდენტები არის. მაგალითად, ლონდონში ცხოვრობს ელენე ტრეგუბოვა, მოსკოველი ჟურნალისტი. იგი იძულებული იყო, ემიგრაციაში წასულიყო მას მერე, რაც თავს დაესხნენ. ფინეთში კონფერენციაზე კი ჩემთან ერთად ნომერში ფატიმა ტლისოვა ცხოვრობდა. ძალიან კარგი ჟურნალისტი, რომელიც კავკასიურ თემებზე, ადამიანის უფლებების დარღვევაზე წერდა. ადრე იგი ნალჩიკში ცხოვრობდა, მაგრამ იძულებული იყო ამერიკისთვის შეეფარებინა თავი, რადგან მას გაუთავებლად ემუქრებოდნენ ის ადამიანები, ვის დანაშაულებრივ ქმედებასაც იგი ამხელდა. ის კი არა, მის მოკვლასაც არაერთხელ შეეცადნენ...

მე უკვე კარგად ვიცი, თუ რა უნდა ვაკეთო და როგორი იქნება ჩემი მომავალი: უნდა დავეხმარო იმათ, ვინც რუსეთში დარჩა, ანუ როგორც ჟურნალისტმა, ვწერო და ვიმუშაო, ვიმუშაო და ვიმუშაო.

**ია მერკვილაძე,**

**„სრ“ საკ. კორ. აშშ, ნიუ-იორკი**

## გუშინ — დღეისთვის

### ნუ გეშინიათ, ამოყვინთავთ!



**XX საუკუნის დასაწყისში ინგლისის კონსერვატიულ პარტიას, რომლის წევრი უ. ჩერჩილი იყო, მძიმე დღეები დაუდგა. მისი ავტორიტეტი ხალხში დაეცა და, ცხადია, ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი გავლენა არ ჰქონდა. ზოგიერთების აზრით, იგი ჩასაძირავ გემს ჰგავდა.** ასეთ პირობებში 1904 წელს უ. ჩერჩილმა დატოვა ეს პარტია და ლიბერალებს მიემხრო. ამის გამო მას ვირთხაც კი უწოდეს. უ. ჩერჩილის მეგობარმა ჩარლზ დილკმა მას პირდაპირ მიახალა: შენ, უინსტონ, მეტი ყურადღებით უნდა ადევნო თვალი შენს პოლიტიკურ ბიოგრაფიას. ვირთხას შეუძლია მხოლოდ ერთხელ დატოვოს გემი ჩაძირვისას, მაგრამ ის ამას მეორედ ვერ შეძლებს. ამ ოპერაციის ჩატარებას შენ თუ მეორედ შეეცდები, შენი საქმე დაღუპულია. დილკი შეცდა. 20 წლის შემდეგ ჩერჩილმა შეუძლებელი შეძლო — მან მეორედ დატოვა ჩასაძირად განწირული გემი (ახლა უკვე ლიბერალებისძ და კონსერვატორებთან წარმატებით ამოყვინთა.

ასე რომ, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი გინესის წიგნშია შესატანი — მათ ვირთხასავით იმდენჯერ დატოვეს ჩასაძირად განწირული გემი და წარმატებით ამოყვინთეს, ძნელია მათი რეკორდი ვინმემ მოხსნას.

### რა მნიშვნელობა აქვს საარჩევნო ასაკს

**ალბათ, ბევრ თქვენგანს ახსოვს, თუ როგორ აკრიტიკებდა საბჭოთა პროპაგანდა აშშ-ს კონსტიტუციას იმის გამო, რომ იგი საარჩევნო ასაკობრივ ცენზს 21 წლით განსაზღვრავდა, სსრ კავშირში კი 18 წლის ახალგაზრდებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ.**

ამერიკელები ამ ფაქტს ასე ხსნიდნენ: 21 წელზე ნაკლები ხნის ახალგაზრდების უმრავლესობას არ აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების დამოუკიდებლად შეფასების უნარი, ამიტომ არჩევნებში მათ შეიძლება ხმა მისცენ არა საკუთარი რწმენით, არამედ მშობლების, მეგობრების, ან სხვა რაიმე ფაქტორების გავლენით.

იმ ქვეყნებში, სადაც არჩევნები დემოკრატიულად ტარდება, შეიძლება ამ გაუთვითცნობიერებელმა ამომრჩეველმა ულირს კანდიდატს გაამარჯვებინოს.



მას შემდეგ, რაც XX ს. 60-იანი წლებიდან, დასავლეთის ქვეყნებში ახალგაზრდები აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკურ ცხოვრებაში, 1971 წელს კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანეს და ახლა აშშ-ში 18 წლის ახალგაზრდებს აქვთ არჩევნებში მონაწილეობის უფლება.

დასკვნა: იქ, სადაც საარჩევნო ყუთებში ბიულეტენების ბლუჯა-ბლუჯა ჩაყრა შეიძლება, რა მნიშვნელობა აქვს ამომრჩევლის ასაკი 21 წელი იქნება თუ 15?

**ვაჟა თვალავაძე.**

## ინფორმაცია

### გრიპის ვირუსი ჩვენც გვემუქრება

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ H1N1 ვირუსის პანდემიის და ვირუსთან ბრძოლის მეექვსე სტადიაზე გადასვლის შესახებ გამოაცხადა.**

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში დასახელებულია პანდემიის რისკის ჯგუფში მყოფი 40 ქვეყანა, რომელთა შორის საქართველოც მოხვდა.**

**საუბარია იმის შესახებაც, რომ ორგანიზაციამ გადაწყვეტილება ვირუსის გავრცელების გეოგრაფიული არეალის გაფართოების გამო მიიღო.**

**ინფორმაციაში ნათქვამია, რომ H1N1 ვირუსის ვაქცინის შემუშავება უკვე დაწყებულია და წამლის პირველი პარტია 2009 წლის სექტემბერში გამოვა.**

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ვირუსი ჯერ მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებს შეეხოთ.**

**ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით, გრიპის სეზონი დედამიწის სამხრეთ ნახევარსფეროზე ახლა იწყება.**

### დააკავეს მექრთამე მებაჟეები

**შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს საბაჟო გამშვები პუნქტის „წითელი ხიდის“ მებაჟეები კახაბერ სირაძე და ლევან პაპიაშვილი, რომლებმაც საქართველოში შემომავალ ერთ-ერთ მოქალაქეს საქართველოდან სხვადასხვა სახის პროდუქციის გატანის სანაცვლოდ ქრთამის სახით გამოსძალეს ფული და მონობარათები.**

**წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლით მიმდინარეობს, რომელიც ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღვეთას ითვალისწინებს.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

ფეხბურთი

# კოზირები ჩვენც გაგვაჩნია

**მოგეხსენებათ, განვლილ კვირაში „ზესტაფონმა“ და რუსთავის „ოლიმპმა“ წარმატებით გადალახეს ევროპის ლიგის (ყოფილი უეფას თასის გათამაშების პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წინაღობა და მორიგ წრეში, შესაბამისად, შვედურ „ჰელსინგბორგსა“ და ვარშავის „ლეგიას“ შეხვდებიან.**

დღეს ბრძოლაში კიდევ ერთი ქართული კლუბი ებმება — 20 საათზე ვაკის მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე დაიწყება ჩემპიონთა ლიგის სასტარტო შესარჩევი რაუნდის მატჩი თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და სლოვენიის „მარიბორს“ შორის.

მართალია, სტუმრები განთქმული იუგოსლავური საფეხბურთო სკოლის წარმომადგენლები არიან და რამდენიმე წლის წინათ ყველაზე პრესტიჟული კონტინენტური ტურნირის ჯგუფური ბატალიებიც დააჭაშნიკეს, მაგრამ საკუთარი ღირსებები ჩვენს თანამემამულეებსაც გააჩნიათ, რამაც, ვფიქრობთ, დღევანდელ თამაშს ინტრიგა უნდა შემატოს. უპირველესად, ესაა ვეტერინართა ძირითადი ბირთვის (ბედიაშვილი, კვახაძე, რაზმაძე, კლიმიაშვილი) ეროვნული ნაკრების წევრობისას დაგროვებული საერთაშორისო გამოცდილება, აგრეთვე გუნდის თავკაცის რამაზ მუმლაძის ფაქტორი, რომელიც უკვე კარგა ხანია პრეზიდენტ გურამ რუხაძის ნაამაგარი კლუბის მთავარი მწვრთნელია და თავისი ხუთი თითივით იცნობს შეგირდთა როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარეებს.

დავძენთ, რომ საპასუხო დუელი ბალკანეთში ორ კვირაში გაიმართება.

**გიორგი შოთაძე**

ჭადრაკი

# მოშუღლარნი ილუმჟინოვმა შეარიგა



**საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ, რომელიც საბერძნეთში ევროპის საჭადრაკო კავშირის რიგგარეშე საგანგებო ასამბლეაზე იმყოფებოდა, გუშინ პრესკონფერენცია გამართა.**

— საგანგებო შეკრების მიზეზი იყო ლოზანის საარბიტრაჟო სასამართლოს 2009 წლის 22 აპრილს მიღებული გადაწყვეტილების შედეგების განხილვა და წლევანდელი ევროპის საჭადრაკო კავშირის ეგიდით ჩასატარებელი ღონისძიებების დამტკიცება, — აღნიშნა გია გიორგაძემ. — ფიდეს პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის დიდი ძალისხმევით დაპირისპირებულ მხარეებს — თურქეთისა და ევროპის საჭადრაკო კავშირებს შორის მოხდა შეთანხმება. საკუთარი განცხადებით პოსტი დატოვა ევროპის საჭადრაკო კავშირის საბჭოს წევრმა ჩერნოგორიელმა შაკოტიჩმა. ასამბლეაზე ხელახლა დამტკიცდა 2009 წელს გასამართი ევროპული ტურნირები — გუნდური და საკლუბო ჩემპიონატები, ასაკობრივი პირველობები.

ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა მასმედიის წარმომადგენლებს ისიც აუწყა, რომ საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ნაკრებმა ურეკში საწვრთნელი შეკრება დაამთავრა. ჩვენი მანდილოსნები სექტემბერში მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატში იასპარეზებენ, რომელსაც ჩინეთი უმასპინძლებს.

ჩოგბურთი

# რეპეტიცია ერევანში გაიარეს

**ერევანში დამთავრდა 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა ორი საერთაშორისო ტურნირი, რომლებშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ჩვენებურებმა განსაკუთრებით 16-წლიანებში იყოჩაღეს.**

ვაჟთა ფინალში ორჯერვე დავით ხუციშვილი და ნიკა დოლიძე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. თბილისში „რენას და დათოს“ ტურნირის გადამწყვეტ პაექრობაში დოლიძემ აჯობა მეტოქეს, ერევანში კი ორივე შეხვედრა ხუციშვილმა მოიგო — 7:5, 6:2 და 6:3, 6:1. წყვილთა პირველ ტურნირში დავით ხუციშვილი და დანიელ კვაჩი ავიდნენ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. მათ ნიკა დოლიძე და ალექსანდრე დავლიანიძე დაამარცხეს — 3:6, 6:4, 10:6. სამაგიეროდ, ნიკამ და სანდრომ მეორე ტურნირში დაიკავეს პირველი ადგილები.



გოგონებში ბარბარე ერისთავმა ანი გოგვაძეს სძლია სამ სეტში 6:4, 6:7, 6:4 და მთავარი პრიზი დაიმსახურა. ანიმ მეორე ფინალური შეხვედრაც დათმო, ოღონდ მასპინძელ განჯელიანთან. საგულისხმოა, რომ ბარბარე ერისთავი, ანი გოგვაძე, ნიკა დოლიძე და ალექსანდრე დავლიანიძე პარასკევს ტამპერეში გაემგზავრებიან ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალზე და 20 ივლისიდან ერთეულთა და წყვილთა პაექრობებში ჩაებმებიან.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათზე: ბარბარე ერისთავი.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

ქართული ჭიდაობა

# გაიხსენეს ანზორ ქიბროწაშვილი



**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით ახმეტაში სახელოვანი ფალავნის, ძიუდოში საბჭოთა კავშირიდან ევროპის პირველი ჩემპიონის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ანზორ ქიბროწაშვილის ხსოვნის ტურნირი გაიმართა ქართულ ჭიდაობაში. საასპარეზოდ სხვადასხვა კუთხის რვა გუნდი გავიდა სარბიელზე. მეოთხედფინალში კასპელებმა ქვემოქართლელებს სძლიეს 4:1. შიდა ქართლმა მოუგო იმერეთს 5:0, მასპინძლებმა მცხეთა-მთიანეთის გუნდი დაამარცხეს 3:2. ასეთივე ანგარიშით კახეთმა თბილისს დააყრევინა ფარ-ხმალი.**

ნახევარფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: შიდა ქართლი — კახეთი 3:2, ახმეტა — კასპი 4:1. ფინალში მასპინძლებმა 3:2 სძლიეს შიდაქართლელებს. ახმეტელებს (ვალერი პეტრიაშვილი, ბიძინა სამუკაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ზვიად გოგოჭური, ალექსი დავითაშვილი) ბოლო მომგებიანი ქულა საქართველოს რვაგზის ფალავანმა ალექსი დავითაშვილმა მოუტანა, რომელმაც გიორგი ბოლოთაშვილის სუფთად დამარცხებას წუთზე ნაკლები მოანდომა.

მესამე ადგილზე კასპელები გავიდნენ, რომლებმაც 3:2 სძლიეს კახელებს. ტურნირის საუკეთესო მოჭიდავის პრიზი ვალერი პეტრიაშვილს გადაეცა. გამარჯვებული გუნდი ანზორ ქიბროწაშვილის თასით სეოკის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა დააჯილდოვა.

17 ივლისს ხოვლეში, ასევე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსებით ორი ოლიმპიური ჩემპიონის — დავით ხახალეიშვილისა და ირაკლი ცირეკიძის აღმზრდელის — ომარ მერაბიშვილის ხსოვნის ტურნირი გაიმართება ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაზე, სავარაუდოდ, სახელოვანი ფალავნები — ირაკლი ცირეკიძე, მინდია ბოდაველი, მირიან პავლიაშვილი, ზაზა კედელაშვილი, ვარლამ ლიპარტელიანი, ლაშა გუჯეჯიანი, ალექსი დავითაშვილი და გრიგოლ მამრიკიშვილიც იჭიდავებენ.

**გიორგი გაგუა**

**სურათებზე: ასპარეზობის მომენტი; ტურნირის გამარჯვებული ახმეტის გუნდი.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**



ინტერნეტიდან

## კრამნიკი — გინესის რეკორდების წიგნში



**რუსეთელი დიდოსტატის ვლადიმერ კრამნიკის გვარი შევა გინესის რეკორდების წიგნში, რადგან რუსმა მოჭადრაკემ მეცხრედ გაიმარჯვა დორტმუნდის საჭადრაკო ტურნირში.**

მეათე, დასკვნით ტურში კრამნიკმა დაამარცხა ოთხი წლის წინათ ამ ტურნირში გამარჯვებული გერმანელი არკადი ნაიდიჩი, თუმცა გამარჯვებისთვის მას ყაიმიც ჰყოფნიდა. ვლადიმერმა პირველობა მოიპოვა 10 შესაძლებლიდან 6,5 ქულის მოგროვებით.

ამგვარად, ვლადიმერ კრამნიკი მსოფლიოში პირველი მოჭადრაკეა, რომელმაც შეძლო ერთ სუპერტურნირში გამარჯვება. ასეთ ტურნირად დორტმუნდთან ერთად ლინარესი და ვეიკ-ან-ზეეც ითვლება.



## 10 ათასი ევრო „შპილკებზე“ სირბილისთვის

**ბერლინში გაიმართა ტრადიციული სირბილი „შპილკა“ ქუსლიანი ფეხსაცმლით.** მასში მხოლოდ ქალები მონაწილეობდნენ. რეგლამენტის თანახმად, ქუსლი არ უნდა ყოფილიყო 1,5 სანტიმეტრზე განიერი. 100 მეტრზე სირბილში გაიმარჯვა 18 წლის ტიურინგიელმა აბიტურიენტმა იულია პლეხერმა. დისტანცია მან 14,2 წამში გაირბინა და ამით დაამხო 2007 წელს ბერლინელი ქალიშვილის მიერ დამყარებული რეკორდი. იულიამ ამ გამარჯვებისთვის 10 ათასი ევრო მიიღო.

## როცა ცოლი სექს-სიმბოლო გყავს

**ხორვატეთის ნაკრებისა და გერმანული „კარლსრუეს“ ფეხბურთელმა დინო დრპიჩმა განაცხადა, რომ არ აპირებს გერმანიის დატოვებას. მიუხედავად ესპანეთიდან მაცდური დაპირებისა, მას უნდა თამაშის ბუნდესლიგაში გაგრძელება.**



დინო გერმანიაში მხოლოდ თავისი თამაშით კი არ გახდა ცნობილი. ხორვატმა მცველმა სახელი გაითქვა თავისი ცოლის — ნივეს სელსიუსის წყალობითაც. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ წყვილმა „ღია სექსი“ წარმოადგინა სტადიონ „მაქსიმირის“ გაზონზე.

ამის შემდეგ ეს წყვილი პაპარაცების სამიზნედ იქცა, ხოლო თავად ნივესი ქმარზე უფრო პოპულარული გახდა.

ამბობენ, რომ სწორედ ამის გამო გადაწყვიტა დინომ გერმანიაში დარჩენა. მისი ცოლი ხომ აქ ნამდვილ სექს-სიმბოლოდ იქცა.

◉ უკვდავებასთან წილნაყარი

ქალბატონი ნანული გუგუნავა ჩვენი საყვარელი ნოდარ დუმბაძის ღირსეულ მეუღლედ დარჩა. ჰქონდათ სიამტკბილობის წლები, დაზარდეს შვილები, დიდი სულიერი ტრავმაც ერთად გადაიტანეს... არ იყო ადვილი დიდი მწერლის მეუღლეობა...

გუშინ ნოდარ დუმბაძის დაბადების დღე იყო, ჩვენმა გაზეთმა შეახსენა თავის მკითხველს ეს ღირსშესანიშნავი თარიღი, ჰოდა, ავიღე გაზეთი, წაველი ვაკეში, ქალბატონ ნანულის ავუტან-მეთქი... მარტოა იგი თავის ფიქრებთან, თავის წარმოსახვისათვის ნოდართან...

# გუგუნავას ქალის სევდიანი14 ივლისი



მით უმეტეს, დაბადების დღეებს არ იხდიდა... სტუმრები კი დაუპატიჟებლად მოდიოდნენ... მე ეგ ვიცოდი და თადარიგსაც ვიჭერდი... ერთხელაც რომ მოვიდნენ მეგობრები, შეჩქვიფდა, რა ვქნათ, ნანული, პურ-მარილი რომ არ გაგვიმზადებიაო?.. რა ვიცი გენაცვალე, რაც გინდა ის ქენი-მეთქი... შეწუხდა...

**— რაც იგი აღარ არის, უკვე 1984 წლიდან, რა თქმა უნდა, სევდიანად ხვდებით ამ დღეს, ქალბატონო ნანული...**

— ცხადია... ჩავდივართ ოჯახის წევრები ქვემოთ — „მზიურში“ ნოდარის საფლავთან, მერე მოდის და მოდის უამრავი ნაცნობ-მეგობარი... ნაწარმოებებით რომ იცნობენ, ისეთებიც, სხვათა შორის... ეს ბინა, შეიძლება ითქვას, მისი მუზეუმია... აქ მოიგონებენ ხოლმე უახლოესი მეგობრები ერთი-ორი ჭიქით და ეგ არის...

**— როგორი იყო ეს დღე მის სიცოცხლეში?..**

— არ უყვარდა მაინცდამაინც... კაი, კაი, ყველაფერია მაცივარში-მეთქი...

ასე ვიყავით... ახლა სიბერეც მომეძალა — 80 წლისა ვარ უკვე...

**— იცოცხლეთ, ქალბატონო ნანული, თქვენი ნოდარის ხსოვნისთვის, თქვენი მომავლის გახარებისთვის, დიდხანს იყავით!**

— მადლობა თქვენ და თქვენს გაზეთს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

**სურათზე: 34 წელი გაატარეს ერთად, სევდის, სიხარულის 34 წელი... ეს ფოტო საგურამოშია გადაღებული.**

◉ ჩვენი მწარე რეალობა

# ტრიფონიადა სამშობიაროში

**ისეთ დიდებულ ეპოქაში ვცხოვრობთ, რომ ქუჩაში თუ მგზავრობისას, ოჯახში თუ სამსახურში (თუ გაქვს, რასაკვირველია!ძ, რაც უნდა „არაპოლიტიზირებული“ იყო, გამორიცხულია, ენა არ წაგცდეს პოლიტიკაზე., იმაზე თუ როგორ ჰგონია, ზოგიერთს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა სამშობლოს ღალატი, ხოლო მთავრობის ქება — პატრიოტიზმი.**

ისე ვმსჯელობთ და ტანსაცმლის შემოგლეჯამდე ვკამათობთ, თითქოს მეტი საქმე და სატკივარი არა გვქონდეს!

„აბა, მუჭო“! — იტყვიან მეგრელები ასეთ დროს... მაშ, როგორაო? — რაიმე უეჭველზე როცაა ლაპარაკი! ჰოდა, აბა, მუჭო! — სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია ხომ ადამიანთა სიცოცხლის, შრომის, ცხოვრების და ა. შ. უფლებათა დაცვასთან ერთად, მოქალაქეთა ჯანმრთელობის თუ სოციალური უზრუნველყოფის ფუნქციაც არის?

ბევრ ქვეყანაში ვყოფილვარ. ბევრი იქაურიც მინახავს და აქაურიც, მაგრამ იშვიათად შევხვედრივარ ფაქტს, მაძღარი მშიერს „აძლებდა“ და თუ „აძლებდა“, ისიც კი შემიმჩნევია, მაძღარი მაშინაც კი თავის „ხეირ-პიარზე“. ფიქრობდა!..

...ერთ მშვენიერ, მაგრამ ე. წ. განვითარებად ქვეყანაში „ჯანდაცვამ“ დამაინტერესა. დამათვალიერებინეს სხვადასხვა, ფასიანი და უფასო სამკურნალო დაწესებულებები და, უნდა ვაღიარო, შესანიშნავად აწყობილმა სამედიცნო სამსახურმა გამაოცა. მაგრამ კიდევ უფრო გამიკვირდა, ფასიანი და უფასო საავადმყოფოებს შორის ფასის გარდა, განსხვავებული ზღვარი თითქმის არ არსებობდა!

კიდევ ერთ განვითარებად ქვეყანაში, ჩემი იქ ყოფნის დროს, ჩემსავით ნაკლებად ფულიანი მეგობრის მეუღლემ იმშობიარა.

— ალბათ ბევრი დაგიჯდა-მეთქი, ვკითხე მეგობარს.

— მშობიარობა ჩვენთან უფასოა!.. მშობიარე ქალი, მომავლის სიმბოლოა და მას კიდევ უფრო მეტი ყურადღება ეკუთვნის!.. სახელმწიფომ, თუ ის სახელმწიფოა, უპირველეს ყოვლისა, საშუალება უნდა გამონახოს ქვეყნის დემოგრაფიული თუ სოციალური დაცვისთვის... ჯანმრთელი და სოციალურად დაცული ადამიანები კი, ქვეყნის ძლიერებაა, — ჩემო ძმაო!

ჩვენს ტკბილ საქართველოში მართალია, გვაქვს პრეზიდენტის ნაძები „პატრიოტთა ბანაკები“ და „ბუჩქები“, მაგრამ... არ შველის, ბატონო, ამ საქმეს „ბუჩქები“, „არც ის ცბიერი მოწოდება „ცხოვრების დაგეგმვის“ შესახებ და, არც „გაქაფული“ რეკლამები „კონტრაცეპტივებზე“! **ახალშობილთა რაოდენობა განახევრდა ქვეყანაში!** ქართველები ორი „კაპიკის“ თუ „ცენტის“ საშოვნელად გაიკრიფნენ. ჩვენ კი, თვალში ნაცრის შეყრით „ვერთობით“! ვჭრით, „წითელ ლენტებს“, ვანთებთ გაზის ბალონიდან მონაბერი აირით აალებულ „კამფორებს“, ხალხზე „ზრუნვაში“ ვაღამ-ვათენებთ, მშენებარე ობიექტის“ ბეტონზე ვაწყობთ შოუებს, ადამიანთა „ჯანდაცვისთვის“ შემოტანილი სამედიცინო აპარატურით და მედიკამენტებით თავს ვიწონებთ, მაგრამ...



...ერთი, ჩემისთანა მოკირკიმალე კაცი შემხვდა და მკითხა:

— მერე, სად არის ეს აპარატურა და მედიკამენტები?.. ვის მიუწვდება მათზე ხელი? რამდენია მისი გადარჩენილი მშობიარე თუ ახალშობილი?

როგორ არ არის-მეთქი, ვუთხარი მე და სიტყვა შევატოვე. მან თავისი არ დაიშალა:

— თქვენ რა, ვერ ამჩნევთ, ყოველი სამშობიაროდან დღეში სამი-ოთხი გარდაცვლილი ახალშობილი რომ „გაჰყავთ“ მშობლებს?..

ჩემს ერთ მეგობარ გინეკოლოგს რომ მოვუყევი იმ კაცის ნათქვამი, მაღლა ცას შეხედა, ამოიოხრა და თქვა:

— სალაპარაკოდ არ გეუხნები, მაგრამ რა ვქნათ, ჩემო კარგო?.. სადა გვაქვს ამდენი სამკურნალო საშუალებები და აპარატურა?.. ყოველ ახალშობილს თუ არა, ყოველ მესამეს მაინც სჭირდება სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები და „ინკუბატორი“... ეს „ინუკბატორი“ კი თითზე ჩამოსათვლელია მთელ რესპუბლიკაში და რაც არის იმასაც...

— იმასაც ვიღაც ტრიფონები „აზიან“, ბატონო და მათ უნდა ევაჭრო! — გაბრაზებით ჩაილაპარაკა ერთ-ერთმა ჭირისუფალმა.

ვინაა ტრიფონი-მეთქი, ვკითხე.

— რა ვიცი, ვინ არის!.. წადი და შენ გაარკვიე, ძმაო!.. თუ არა გაქვს „სავაჭრო საშუალება“, მხოლოდ ღმერთს უნდა მიენდო... არის ფასიანიც და, თითქოს, უფასო კლინიკებიც, მაგრამ ფასიანში რომ მიიყვანო მშობიარე, წინასწარ სახლი უნდა გაყიდო. უფასოში კი... უფასო ქვია, თორემ, დღეში 50-100 ლარი მაინც მიჯდება!.. არ გჯერათ?, მიდით და ნახეთ. ვნახე და „ნანახმა“ სამუდამო იარა დამიტოვა გულში!..

...თუმცა, რატომ ვამბობ ახლა ამას? ვის აღელვებს შენი იარა?.. ამიტომ ვახსენე, ცოტა ზემოთ, „თვალში ნაცრის“ შეყრა!

...აი, ასე ვათავისუფლებთ“ ადამიანებს! „თავისუფალს“ კი, ვისაც უწოდებდნენ კარგად უწყოდათ ოდესღაც! რას იზამ? მართალია ერთი „თავისუფალი“ მელექსე, რომელმაც იმ კაცის „ზოგად სახელზე“ გამოაცხო სტროფი“: — **„ზის სავარძელში ტრიფონი, ბევრი სხვაც უფრო ზემოთ, ბჭობდნენ საქვეყნო საქმეზე, ფულს უსინჯავენ გემოს..“**

**ზაურ ფიფია**

◉ კურიოზები, წკიპურტები, მიქარვები

## მოლიერი ეთანხმება სენეკას

**ადამიანები ავად ყოველთვის ხდებოდნენ, ყველა საზოგადოებრივი ფორმაციის დროს. სადაც ავადმყოფობაა, იქ წამლებს უნდა მიმართო. ეს ურთიერთობა დაუსრულებლივ მიმდინარეობს, და, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად ადამიანების სასარგებლოდ არ მთავრდება. სხვადასხვა ეპოქებში ამას საკმაოდ ავტორიტეტული წყაროები აღნიშნავდნენ. აი, რას წერდა რომაელი ფილოსოფოს-ისტორიკოსი სენეკა:** „ზოგიერთი წამალი ავადმყოფობაზე უფრო სახიფათოა“. გავიდა კიდევ არაერთი საუკუნე და ფრანგმა დრამატურგმა მოლიერმა კიდევ უფრო კატეგორიული აზრი გამოთქვა: „ბევრი ადამიანი ავადმყოფობით კი არა, წამლების გამო იღუპება“. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, რა ღირდა იმ დროს წამალი.

თანამედროვე ფარმაცევტიკამ (იგივე ფარმაციამძ ფართო ნაბიჯები გადადგა წინ. მხოლოდ ერთი ავადმყოფობის — წნევის წინააღმდეგ შემოგვთავაზებენ ადელფანსა და პაპაზოლს, კორინფარსა და კაპოტენს. მეცნიერების აღიარებით, ჩვენი დროის მთავარი ავადმყოფობებია ინფარქტი და ინსულტი. სამედიცინო სტატისტიკას შეუძლია ზუსტად განსაზღვროს, რამდენ ადამიანს შეეყარა ეს ავადმყოფობები. იმის დადგენალა დარჩა, რამდენი დაავადდა ინფარქტითა და ინსულტით, როდესაც დახედა... აფთიაქების პრეისკურანტს!

## რატომ არ აკრიტიკებდა ფინანსისტებს?

**მოლიერი არავის ინდობდა დედამიწის ზურგზე. ვინც გინდათ, კრიტიკის ქარცეცხლში გაახვია, ფინანსისტების გარდა.** ამიტომაც იყო, რომ გავრცელდა ხმა, თითქოს მოლიერმა და სხვა კომედიოგრაფებმა ამის შესახებ სპეციალური მითითებები მიიღეს ყოვლისშემძლე ფინანსთა მინისტრ კოლბერისაგან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კოლბერმა მონახა მათი „დაინტერესების“ გზა.

## „მანკიერება და დანაშაული“

**შატობრიანმა აღწერა შემთხვევა, როცა 1815 წლის 6 ივლისს საფრანგეთის ტახტზე დაბრუნებულმა ლუი XVIII-ემ სენ-დენის სააბატოში მიიღო ორი მაღალჩინოსანი.** მეფისადმი თავისი პატივისცემისა და ერთგულების დასამტკიცებლად მივიდნენ ტალეირანი და ფუშე, თავის დროზე ორივემ ხმა მისცა ლუი XVI-ის სიკვდილით დასჯას, შემდეგ ნაპოლეონის მინისტრები გახდნენ, მასაც უღალატეს.

აი ეს სცენა შატობრიანის აღწერით: „...მოულოდნელად კარები გაიღო. ნელ-ნელა შემოვიდნენ მანკიერება და დანაშაული. ბატონი ტალეირანი, რომელიც ბატონ ფუშეს ხელს ეყრდნობოდა“.

**გივი გამრეკელი**

179-ე საჯარო სკოლის დირექცია აცხადებს ტენდერს 200 მ² ფართის იჯარით გაცემის თაობაზე. განაცხადების მიღება იწარმოებს სკოლის კანცელარიაში. 2009 წლის 15 ივლისიდან 15 აგვისტომდე. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: ვარკეთილი 3 III მ/რაიონი. 179-ე საჯარო სკოლა.

განცხადება

შპს „ენერგიის“ გაკოტრების საქმის წარმოების შესაბამისად ცხადდება აუქციონი, რომელზედაც გამოტანილი იქნება შპს „ენერგიის“ ქონება.

საწყისი ფასი 800 000 ლარი.

აუქციონი გაიმართება ქ. წყალტუბოს სასამართლოს შენობაში (მისამართი წყალტუბო, რუსთაველის ქ. №12ძ. 2009 წლის 15 აგვისტოს დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ გაკოტრების მმართველთან ტ: 899-23-48-33.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.

უახლოესი მეგობრები გურამ სალარაძე, ჯემალ ღაღანიძე, სოსო ლალიძე, პაპუნა ჭღენტი, სულხან ქასრაშვილი, ზურაბ მენაბდე, დიზი სურგულაძე, ლევან ქურციკაშვილი, დემიკო ლოლაძე, ომარ ცაავა, თამაზ გამცემლიძე, ზენო მუსერიძე ოჯახებით, დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქალაქის ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება

დათო გურგენიძე

და თანაუგრძნობენ უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს აკადემიკოსის, აგრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის, ზაურ ჩანქსელიანის ქალიშვილის

ხათუნა ჩანქსელიანის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

---

ლელა ცირეკიძე და ანატოლი გიორგაძე თანაუგრძნობს აკადემიკოს ზაურ ჩანქსელიანს და მირიან ლიპარტელიანს ქალიშვილისა და მეუღლის

ხათუნა ჩანქსელიანის

გარდაცვალების გამო.

---

გურამ და ლელა ქაშაკაშვილები, ბიჭიკო და გულნარა ლაპიაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

მერი გაბილინაშვილი-ხატიაშვილისა

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 14, 15 VII, 17 სთ. გამოსვენება 16.VII. 14 სთ. ნაფარაულის ქ. 12.

## სულიერება

# მარიამ ღვთისმშობლის კვართის დღესასწაული



**15 ივლისს საქართველოს სამოციქულო ეკლესია ღვთისმშობლის კვართის დღესასწაულს აღნიშნავს: ეკლესია თაყვანს სცემს სიწმინდეებს, რომლებიც მუზეუმებსა თუ სხვა ადგილებშია დამკვიდრებული.**

...ღვთისმშობლის კვართი ინახებოდა ხობის მონასტერში.

საქართველოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართის არსებობაზე მიუთითებენ სხვადასხვა ქვეყნის ელჩები, ათონელი ბერები და ალექსანდრიის პატრიარქი.

გადმოცემის თანახმად, ღვთისმშობლის კვართი ვერცხლის კიდობანში ყოფილა დაცული და საყდრის საკურთხეველთან დადგმული, ოდიშის მთავრის ლევან II და კათოლიკოსის ბეჭდით დალუქული.

ღვთისმშობლის კვართის დღესასწაულთან დაკავშირებით სიწმინდეს გამოაბრძანებენ ზუგდიდის მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარე ვლაქერნის ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში, სადაც, საზეიმო წირვა-ლოცვის შემდეგ, მორწმუნეები ემთხვევიან და თაყვანს სცემენ ქრისტიანული სამყაროს ამ უდიდეს სიწმინდეს.

**გიული ლიპარტია**

## მუსიკალური ქუთაისი

# შუა ზაფხულში — „ტრავიატას“ პრემიერა

**ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში (მმართველი — როზა დვალიშვილი) პრემიერაა — 15 და 17 ივლისს წარმოდგენილი იქნება ჯუზეპე ვერდის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ოპერა „ტრავიატა“. მისი დადგმა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თანადაფინანსებით განხორციელდა.**

„ტრავიატას“ დამდგმელი დირიჟორია ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ბაადურ სამადაშვილი, დამდგმელი რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე, დამდგმელი მხატვარი თეიმურაზ არსენიძე, დამდგმელი ქორეოგრაფი ვახტანგ უშვერიძე.

საპრემიერო სპექტაკლებში მონაწილეობენ ქუთაისის ოპერის თეატრის გუნდი, ორკესტრი, მომღერლები: ნაირა კიკოლიაშვილი, ფერიდე ჯინჯიხაძე, სოფიკო ბერიშვილი, ბადრი სახამბერიძე, რამაზ კუზლაშვილი, იოსებ კიწმარიშვილი, კალე ხარჩილავა, რობიზონ ლიპარტეიშვილი, ლაშა დათუაშვილი; სპექტაკლში ქუთაისელ კოლეგებთან ერთად იმღერებენ თბილისის ოპერის თეატრის სოლისტებიც: მარიკა მაჩიტაძე, ნიკოლოზ ლაგვილავა. პირველ სპექტაკლს ბაადურ სამადაშვილი წარუძღვება. მეორე საპრემიერო სპექტაკლს უდირიჟორებს ზაზა აზმაიფარაშვილი.

**ალუდა ნიქაბაძე**

## დაიჯესტი

# ზოგიერთებს ქერათმიანი ქალბატონები უფრო მოსწონთ

**ფრანგულმა გაზეთმა „Le Monde“ დააზუსტა დედამიწაზე ბოლო ქერათმიანი ქალის დაბადების დრო და ადგილი — ეს „სავალალო“ მოვლენა მოხდება 2200 წელს ფინეთში. თუმცა, ის ფაქტი, რომ ბოლო ოქროსფერთმიანი ადამიანი მაინცდამაინც ქალი იქნება, სადავოა.**



ბუნებრივად ქერათმიანი ქალბატონების რიცხვის კატასტროფული სისწრაფით შემცირების შესახებ მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2002 წელს თითქოსდა ჩატარებული გამოკვლევის შემდეგ ალაპარაკდნენ, თუმცა თავად ამ კომპეტენტურმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ჭორი უარყო: „აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გამოკვლევა არასდროს ჩაგვიტარებია. ხაზი გვინდა გავუსვათ იმასაც, რომ ქერათმიანი ქალბატონების რიცხვის შემცირების თაობაზე რაიმე განსაკუთრებული აზრი არ გაგვაჩნია“, — ნათქვამია გავრცელებულ განცხადებაში.

არადა, საგულისხმოა, რომ ქერა თმებისა და ცისფერი თვალების მომავალზე დარდს გარკვეული საფუძველი გააჩნია. საქმე ის გახლავთ, რომ გენები, რომლებიც თმას შავ პიგმენტს აცლიან, დომინანტურებზე გაცილებით სუსტებია (ანუ რეცესიულებია). გენეტიკოსები განმარტავენ, რომ იმისთვის, რათა ბავშვი ქერათმიანი დაიბადოს, მან „ბლონდი-გენების“ ორი კოპიო უნდა მიიღოს — დედ-მამისგან თითო-თითო. ხოლო იმისთვის, რომ მუქი თმა ჰქონდეს, საამისოდ ერთი „შავი“ გენის ქონაც კმარა — დედისგან ან მამისგან.

„Le Monde“ წერს, რომ 2050 წლისთვის დედამიწის მოსახლეობა ცხრა მილიარდ კაცს მიაღწევს. სამი მილიარდი ახალშობილი, როგორც ჩანს, გაჩნდება აფრიკაში, აზიასა და სამხრეთ ამერიკაში. თითქმის ყველა მათგანს მუქი ფერის თმა ექნება, ამდენად, სტატისტიკურად ნაკლებადაა სავარაუდო, რომ ბავშვმა „ბლონდი-გენი“ მიიღოს.

ამასთან, მეცნიერები ამტკიცებენ: ის ფაქტი, რომ ქერა თმების გენი რეცესილია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ჩვენი დნმ-დან სამუდამოდ გაქრება: რომც არ გამოვლინდეს, იგი მაინც გადაეცემა თაობიდან თაობას. ქერათმიანი მამაკაცებისა და ქალების წარმოშობა ისეთივე გამოცანას წარმოადგენს, როგორც მათი ჰიპოთეტური გაქრობა. თუკი დნმ-ში ოქროსფერი თმის გენი დაახლოებით ათი ათასი წლის წინათ გაჩნდა, მაშინ, ერთობ სარწმუნო კვლევების დასკვნების მიხედვით, ძალიან ძნელია იმის ახსნა, თუ როგორ გამოვლინდა რეცესიული გენი დედამიწის მოსახლეობის 2-4 პროცენტში. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ, ბუნებრივი გადარჩევის კანონების მიხედვით, ამას... 850 ათასი წელი დასჭირდებოდა!

კანადელმა ანტროპოლოგმა პიტერ ფროსტმა სენტ-ენდრიუსის უნივერსიტეტიდან ახსნა ეს ფენომენი. მისი მტკიცებით, ქერათმიანი ქალები მეტად სასურველი ნადავლი იყო კრომანიონელი მამაკაცებისთვის, რომლებიც ნადირობისას ხშირად იღუპებოდნენ. გადარჩენილებს კი დიდი არჩევანის საშუალება ექლეოდათ... და, ფროსტის აზრით, ეჭვი არ არის, რომ გამოქვაბულის მამაკაცები უპირატესობას ქერათმიან ქალებს ანიჭებდნენ.

# მოდის აღმოსავლური სიო

**კაცმა არ იცის, თუ რას ფიქრობენ მსოფლიო მოდის მეტრები, ვთქვათ, დოლჩე და გაბანა, კარლ ლაგერფელდი, სტელა მაკარტნი და სხვები, მაგრამ, როგორც ბოლო დროს ირკვევა, აზრი ექნებოდა მათ ყურადღება ჩინეთისთვის მიექციათ, სადაც თანამედროვე მოდური ტანსაცმლის მეტად ორიგი-**



**ნალური მოდელები შეიმუშავეს — არც ევროპაში, არც ამერიკაში მსგავსი რამ ჯერ არ ყოფილა.**

საქმე ის არის, ჩინელი დიზაინერების მიერ შექმნილ ტანსაცმლის მოდელებს სილამაზესთან ერთად... სამკურნალო თვისებებიც აქვთ, რადგან ნაკერებსა და სარჩულს ჩინური ხალხური მედიცინის ზოგიერთი წამალი ან ბალახია ჩაკერებული, რომელიც გაციებისას, ინფექციებისა და სტრესების დროს შველის.

**უცხოური პრესის მიხედვით**

## მცხუნვარსიტყვა

**სისტემა როცა დამპალია, იწყება სამკვდრო კამპანიაც...**

**მიშას ფული მოჰკლებია,**
**დაჰქრის ისე ველარა.**
**ჩინოსანი მონებიდან**
**ზოგ-ზოგები შეყარა.**

ბრძანა: — ბრძნული იდეები
ალარა მაქვს განა? —
ვერაზე რაც მკვდრებიაო,
დაუწესეთ ბეგარა!..

**მათრა ხელაშვილი**

## მილოცვა

**თენგიზ ქავთარაძე ოჯახით დაბადების დღეს ულოცავს თემურ და თენგიზ კუჭუხიძეების დედას ქალბატონ ელენეს და უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.**

**რეკლამა** **გ. ახვლედიანის ქ. №19.**

**„საქართველოს რესპუბლიკაში“**

**99-62-77; 899 32-85-76.**

## ანეკდოტები

— ქვირფასო, მოდი, კატის კნუტი გავიჩინოთ, — ეუბნება ქმარი ცოლს.

— არა, ხომ იცი, რომ ცხოველთა ბეწვს ვერ ვიტან, ალერგია მაქვს.

— საოცარია, კატის ბეწვზე ალერგია გაქვს, წავის ქურქზე კი არა.

* * *

მიხო თავის სტუდენტ მეგობარს ეუბნება:

— რამდენიმე წლის შემდეგ ადამიანები ჩვენი ინსტიტუტის შენობის დანახვაზე იტყვიან, აქ მიხო სწავლობდაო.

— სჯობს გამოცდების ჩაბარებისთვის იზრუნო, თორემ ხალხი ამას უკვე ერთი კვირის შემდეგ იტყვის, — გაისმა სასწავლო ნაწილიდან.



ორი მაწანწალა მიმდინარე მომენტზე მსჯელობს.

— როგორ ფიქრობ, არ არის ჩემი თმის შეკრეჭის დრო?

— შენ ხომ შარშან შეიკრიჭე თმა.

— არა, შარშან დავიბანე.

* * *

— ქვირფასო, რომ იცოდე, როგორ მიყვარს კოლოები, — ეუბნება ქმარი ცოლს.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მარტო ზაფხულში წოვენ სისხლს.

* * *

განცხადება. მას, ვინც სანაგვე ყუთთან მილიონი დოლარით სავსე ჩანთა იპოვა, ვთხოვთ, არავის არ მიმართოს. მას ჩვენ თვითონ მივაგნებთ.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.